# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცბიერებით და ქარაგმებით ბურთის გატანა ყოვლად უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 11 სექტემბერი. 2023 წ. №103 (9635) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ალეკო ასლანიშვილი:



„ისევ ცუდად არის აფეხილი ეს ქალბატონი“

„ქართული ოცნების“ და მთავრობის აღშფოთება მხოლოდ იმას არ გამოუწვევია, რომ პრეზიდენტი შატალოზე წავიდა ევროპაში. შიში აღიქრა იმის გამო, რასაც ეს ქალბატონი იქ შეხვედრებისას იტყოდა, ანუ იმას, რაც შარშან თქვა იმავე ევროპაში და არაერთგზის აქაც გაიმეორა საპარლამენტო და სხვა ტრიბუნებიდან — საქართველო მზად არ არის ევროკავშირში მისაღებადო!

## ჩვენი მთავარი უბედურება!

3

## სალომე ამაყია, რომ ჩვენ წარმოგვადგენს!

დმიტრი მედვედევი:



თბილისისთვის მოვიდა დრო, აღიაროს ობიექტური რეალობა და შეუდგეს თანასწორუფლებიან დიალოგს სოხუმსა და ცხინვალთან!..

ზურაბ ცუცქირიძე:

## ნეოლიბერალური ფაშიზმი

ჩვენ ხალხსაც რომ მოსწვდა და მოზარდთა ერთი ნაწილი რომ ჩაითრია ჭაობში, მე ის მიკვირს, ჩვენი ხელისუფლება, თავის ოპოზიციასთან ერთად, ჯიუტად რატომ მიიწევს მომაკვდავი ევროპის უკვე გათხრილ სამარეში გადასახტომად?! თანაც ჩვენ გვიმტკიცებს, ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანი და წინაპართა ოცნებააო!

იხ. 6 გვ.



## ცრუპატრიოტული ისტერიის გამო

4

ერგნეთის ბაზრობის აღდგენა უნდა მოხდეს ცივილიზებულად, რომელიც მთელი ამიერკავკასიიდან მოიზიდავს ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში



8

## ძალიან ჭკვიანი „თაღლითი“!

რა ქონებას ფლობს ოლიგარქი კოლომოისკი საქართველოში?

გიორგი მაღალაშვილი:

## რაჭაში მომხდარი კატაკლიზმის მიზეზები და მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების შესაძლებლობანი

9

### თანაგრძნობას ვუცხადებ მაროკოს მოსახლეობას!

ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა მაროკოელი ხალხის მიმართ. დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა, მრავალი ადამიანი კი, უსახლკაროდ დარჩა. ჩვენი ფიქრები ახლა დაღუპულთა ოჯახებთანაა. დაშავებულებს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!

სალომე ზურაბიშვილი



### გლოვის ამ მძიმე წუთებში...

გულითად თანაგრძნობას ვუცხადებ მაროკოს მოსახლეობას საშინელი მიწისძვრის შედეგად ასობით ადამიანის დაღუპვის გამო. სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ დაშავებულებს.

გლოვის ამ მძიმე წუთებში სოლიდარობას ვუცხადებთ მაროკოს სამეფოს მთავრობას!

ირაკლი ღარიბაშვილი

# საქართველოს მთავრობა ევროპასთან კი არ მათხოვრობს, არამედ მისგან სამართლიან მოპყრობას ითხოვს!

## ირაკლი ღარიბაშვილი: მმართველმა პარტიამ, ხელისუფლებამ, ასევე პრეზიდენტმა, ოპოზიციამ – ყველამ უნდა თქვას ხმამაღლა, რომ საქართველომ უნდა მიიღოს სტატუსი წლის ბოლოს!

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა ჟოზეფ ბორელთან** გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ეს იქნება ერთადერთი სწორი და ისტორიული პოლიტიკური გადაწყვეტილება.

**„ღიად ვესაუბრე ბატონ ბორელს და მის დელეგაციას. მას გადავეცი ჩვენი ხელისუფლების პოზიცია, რომ საქართველო და ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვართ იდეალური. არც ერთი მთავრობა და არც ერთი ქვეყანა არ არის იდეალური. ეს არის მუდმივი პროცესი, მუდმივი ჩართულობაა საჭირო. როგორც აღვნიშნე, 12 რეკომენდაციიდან ძირითადი ნაწილი შესრულებულია.**

**ეს არის პროცესი, რომელზეც მზად ვართ, გავაგრძელოთ მუშაობა თქვენს ოფისთან, ევროკომისიასთან. კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო, რომ ამ ქვეყანაში ყველამ – მმართველმა პარტიამ, ხელისუფლებამ, ასევე პრეზიდენტმაც, ოპოზიციამაც – ყველამ უნდა თქვას ხმამაღლა და მკაფიოდ, რომ საქართველომ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი წლის ბოლოს, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სწორი, ისტორიული, პოლიტიკური გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს“!**

## ჩვენ სხვას არაფერს ვითხოვთ, ვითხოვთ მხოლოდ სამართლიან მოპყრობას

**„ჩვენი გუნდი ფიქრობს, რომ ჩვენი მხრიდან გაკეთდა მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც იყო შესაძლებელი ამ მოკლე პერიოდში. ჩვენ მოვისმინეთ შეფასება, რომ სამი რეკომენდაცია არის სრულად შესრულებული, დანარჩენზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ჩვენი მხრიდან, ამაში გვაქვს განსხვავებული მიდგომა. არსებობს მოსაზრება, რომ ცხრა რეკომენდაცია არის ნაწილობრივ შესრულებული, რამდენიმე არის დარჩენილი. მე გამოვყოფდი სამ რეკომენდაციას, რომელზეც ახლა აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. პირველი არის დეპოლარიზაცია. რა თქმა უნდა, ოპოზიციის აქტიური ჩართულობა გვჭირდება; მეორე არის დეოლიგარქიზაცია, რაზეც ძალიან მალე, ერთ-ორ კვირაში დავასრულებთ მუშაობას და წარვადგენთ სამოქმედო გეგმას, ხედვას, როგორ უნდა დარეგულირდეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში; მესამე არის სასამართლო რეფორმა, რაზეც ვრცლად ვისაუბრე. ძალიან ბევრი რამ შესრულდა, ველოდებით რეკომენდაციებს ვენეციის კომისიიდან და ამის შემდეგ მოხდება ამ რეკომენდაციის სრულად შესრულებაც.**

**რაც შეეხება ჩემს პროგნოზს, კითხვა იყო, როგორი განცდა დამრჩა საუბრებიდან – არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო და ჩემი მოლოდინები ახლა საჯაროდ გაგიზიაროთ, ვისურვებდი, ჩვენ ერთად დაველოდოთ. მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ ევროკომისია მიიღებს ერთადერთ სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას, ჩვენ სხვას არაფერს ვითხოვთ, ჩვენ არასდროს მოგვითხოვია იმაზე მეტი, რასაც ვიმსახურებთ, ჩვენ ვითხოვთ სამართლიან მოპყრობას.**

**შარშან უკრაინამ და მოლდოვამ ბონუსად მიიღეს სტატუსი. ამას ვეძახი ბონუსს, ვინაიდან კარგად ვიცით მეგობარ სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობა, ვითარება. რა თქმა უნდა, არავის ვედრებით, მხოლოდ გვიხარია მათი წარმატება. ახლაც მინდა, ჩვენი მხარდაჭერა დავადასტურო უკრაინის, უკრაინელი ხალხის და მოლდოვის მიმართ, მაგრამ მათ ავანსად მიეცათ სტატუსი. უთხრეს, რომ თქვენ უნდა შეასრულოთ ვალდებულებები, რეკომენდაციები. ჩვენს შემთხვევაში იყო პირიქით, ჩვენ გვითხრეს, რომ ჯერ უნდა შეასრულოთ ვალდებულებები და შემდეგ მოგცემთ ამ ავანსს თუ სტატუსს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის საკმაოდ სამწუხარო იყო. ვფიქრობთ, ეს იყო უსამართლო, რადგან საქართველომ ძალიან ბევრი რამ გააკეთა, განსაკუთრებით, ბოლო ათ წელიწადში.**

**ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დღესაც ვართ „ასოცირებული ტრიოს“ ქვეყნებს შორის მოწინავე ქვეყანა, იმავე მედიათავისუფლების, ადამიანის უფლებების მიმართულებით, ანტიკორუფციული პოლიტიკის, სასამართლოს რეფორმის, ეკონომიკის განვითარების, სოციალური პოლიტიკის თუ მთავრობის გამჭვირვალობის მიმართულებით. ჩვენ ყველა პარამეტრით ვართ მოწინავე. ამიტომ დღეს არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში იმედი გვაქვს, ევროკომისია მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და ქვეყანას წაახალისებს, ქართველ ხალხს, ჩვენს მთავრობას, ხელისუფლებას და ყველას დაუფასებს იმ ერთგულებას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საქმით, ძალიან მტკიცე მოწოდებით გამო-**



**ვიჩინეთ, რომ ქვეყანა მეტად დავუახლოოთ ევროკავშირს. ეს არის ჩემი პასუხი, მე სხვა პროგნოზებზე არ მინდა საუბარი. ვიმედოვნებ, ოქტომბერში იქნება პოზიტიური რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი“.**

## ანტიევროპული, რადიკალური ძალები სტატუსის საკითხს მეტი პოლარიზაციისთვის იყენებენ!

**„მიმაჩნია, რომ პოლარიზაცია არათუ შემცირდა შარშანდელი გადაწყვეტილებიდან მოყოლებული, როცა არ მიეცა სტატუსი საქართველოს, არამედ უფრო მეტად გაღრმავდა. ეს ავხსენი ვრცლად ჩემს სიტყვაში, რომ ყველაზე ანტიევროპული და რადიკალური ძალები ამ საკითხს იყენებენ უფრო მეტი პოლარიზაციისთვის, პოლარიზაციის გაღრმავებისთვის. ის ძალები, რომელთაც რეალური, ხელშესახები არაფერი გაუკეთებიათ ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციისთვის. ამიტომ, რა თქმა უნდა, ძალიან მარტივი ასახსნელი და ლოგიკური იქნებოდა, გვეთქვა, რომ სტატუსის არმოცემის შემთხვევაში პოლარიზაცია უფრო მეტად გაღრმავდება.**

**ამიტომ, თუ ჩვენს ევროპელ მეგობრებს ნამდვილად სურთ პოლარიზაციის დასრულება საქართველოში, მაშინ ყველა ამ ფაქტორის, გარემოების გათვალისწინებით, რაც არის გეოპოლიტიკა, ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები და ა.შ., ქვეყანას წლის ბოლოს უნდა მისცენ კანდიდატის სტატუსი. ეს, როგორც მინიმუმ, გაანახევრებს პოლარიზაციის ხარისხს. ეს არის ჩემი გულწრფელი შეფასება“...**

## ჟოზეფ ბორელი: საქართველო ნამდვილად მიეკუთვნება ევროპულ ოჯახს!

**„ჩემი საქართველოში ვიზიტის პროცესში, თქვენთან, ქართველ ხალხთან სამი ძირითადი გზავნილი მაქვს. პირველი არის ის, რომ საქართველო ნამდვილად მიეკუთვნება ევროპულ ოჯახს. მინდოდა, ჩამოვსულიყავი საქართველოში და პირადად ჩამომეტანა ეს გზავნილი ქართველი ხალხისთვის. როდესაც ჩამოვედი, დავინახე ქართველი ხალხის ძლიერი სულისკვეთება. 80 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრებას. შთამბეჭდავი რიცხვია, მაგრამ ეს არამხოლოდ რიცხვია, მე ძალიან მიხარია, რომ ვხედავ, ბევრი ევროპული დროშა ფრიალებს საქართველოსა და თბილისის ქუჩებში. უნდა ვთქვა, რომ კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ბრიუსელში.**

**ბატონო პრემიერო, თქვენ ნამდვილად ბრძანეთ და გავიგეთ, რომ კანდიდატის სტატუსი უნდა მიენიჭოს ქვეყანას. ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ ვუსმენთ ხელისუფლებას, ოპოზიციას, სამოქალაქო სექტორს – ყველას და ასევე, ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გაერთიანდეს და კონსტრუქციულად მუშაობდეს ამ პროცესში. ამაზე მქონდა საუბარი პარლამენტის წევრებთან. უნდა იყოს ინკლუზიური უმრავლესობა და უმცირესობას უნდა ჰქონდეს თანამშრომლური სულისკვეთება. ეს არის ერთობლივი ძალისხმევა.**

**რაც შეეხება მთავრობასა და მმართველ პარტიას, ისეთი გარემო უნდა შეიქმნას ქვეყანაში, სადაც ასეთი თანამშრომლობა შესაძლებელი გახდება. ამ ეტაპზე ყველა ძალისხმევა უნდა იყოს აქცენტირებული იმაზე, რომ შემცირდეს პოლიტიკური დაძაბულობა, ეს პოლიტიკური და ისტორიული შანსი არ იქნეს დაკარგული და ამისთვის ერთად უნდა იმუშაოთ, რადგან ევროპეიზაციის გზაზე შემდეგი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება დამსახურებასა და მიღწეულ შედეგზე, შედეგი მიღწეული იქნება გაერთიანებული ძალისხმევის საფუძველზე, ყველა ძალის გაერთიანების შედეგად. ამოცანები არის კარგად და მკაფიოდ გაწერილი 12 პრიორიტეტის სახით და ჩვენ უკვე განვაცხადეთ ეს ჩვენს დასკვნაში. ივნისის შემდეგ თქვენ შეასრულეთ სამი მათგანი და დანარჩენი ცხრა პროცესშია, შესასრულებელია. თუმცა დრო მაინც გვაქვს მათ შესასრულებლად.**

**პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს დეპოლარიზაცია პოლიტიკური ლანდშაფტის, დეოლიგარქიზაცია, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სფეროების, სასამართლო სისტემის, საარჩევნო სისტემის რეფორმა, მედიის პლურალიზმი და ადამიანის უფლებები. მოკლე გზა ამის მისაღწევად არ არსებობს, ყველაფერს სჭირდება ძალიან გულდასმით მუშაობა, პოლიტიკური ნება და მკაფიო ერთგულება ევროკავშირის ფასეულობებისადმი.**

**ჩემი გამოცდილებით, მინდა, გითხრათ, რომ ეს მუშაობა ნამდვილად ღირს შედეგად, არა მხოლოდ იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრი გახდეთ, არამედ ყოველდღიურობა რომ გაუუმჯობესოთ თქვენს მოქალაქეებს. ევროკავშირის წევრობა არის ყველაზე დიდი ტრანსფორმაციული ძალა და უსაფრთხოების ვალდებულება, რაც შეიძლება, ქვეყანამ აიღოს. მე ჩემი ქვეყნის მაგალითზე ვამბობ ამ ყველაფერს. ყველაზე ძლიერი ტრანსფორმაციული ძალაა“!**

## რედაქციისგან!



ძვირფასო ბატონო ჟოზეფ!

ევროპა საქართველოს არ მიატოვებსო, ბრძანებთ!

მიტოვებაზე უარესი იქნება, თუ კანდიდატის სტატუსს წლის ბოლოს არ მოგვანიჭებთ!

ეს იმის უტყუარი დასტურიც იქნება, რომ თქვენ ისევ ავადმყოფი სააკაშვილის და მისი ნაცხროვის მხარეს დგახართ!

**„ისევ ცუდად არის ატეხილი ეს ქალბატონი“**



# ჩვენი მთავარი უბედურება!

## სალომე ამაყია, რომ ჩვენ წარმოგვადგენს!

**მთავარი უბედურება, რაც გვჭირს, ის კი არ არის, რომ ოპოზიცია მოუღლელად ებრძვის ხელისუფლებას, არამედ ის, რომ იგი ხელისუფლების დაუძინებელი მტერია, იმდენად, რომ ამ მტრის წინააღმდეგ ნებისმიერ პირსისხლიან დუშმანს შეეკვრება.**

**საშინელი აგვისტო გამოვიარეთ – ღვარცოფიანი, მეწყერ-ნიაღვრიანი, უხვმსხვერპლიანი...**

**ოღონდ, საერთო უბედურებამ არათუ შეგვკრა და შეგვადუღაბა, არამედ კიდევ უფრო გაგვყო და დაგვაშორა ერთმანეთს... და ეს დაიწყო უმალ, ღვარცოფის პირველ მოვარდნისთანავე.**

იმის შიშით, ვინმემ არ დამასწროსო, ეკრანი უმალ შემოანგრია პოპულარულმა, ყველაფრის დამწუნებელმა და ყველაფრის უმალ განმცხადებელმა ლევან სამუშიამ. მან, შოვის ტრაგედიის მიზეზთა და სათავეთა გულთმისანმა, პროკურატურას მოუწოდა, გამოეძიებინა ამ ტრაგედიაში ბრალეულნი (რა თქმა უნდა, კენჭები აშკარად მთავრობის ბოსტანში იყო ნასროლი). ის დღე იყო და ოპოზიციამ თავი სულ გაიგიჟა: მთავრობის წინააღმდეგ „ბრალდებებს“ სულ უფრო და უფრო ამყარებდა „ფაქტებით“.

მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია: ეს პროცესი „ხელისუფლების უნიათობის“ მხილებისა იმდენად ყალბი, იმდენად თითიდან გამოწოვილი, იმდენად შეუსაბამო იყო, რომ შედეგს ვერ მიაღწია – საზოგადოების რევოლუციური მღელვარება ვერ ააგორა.

საქმე ის არის, რომ მთავრობამ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი და ზადი აქვს, ისე გამოიდო თავი, ისე ცოფიანივით შეება სტიქიას, სასაყვედუროდ ენა არ მოგიბრუნდებოდა. ესეც არ იყოს, მაინცდამაინც აგვისტოში ლამის მთელ მსოფლიოში ყალყზე შედგა ბუნება: მეწყერები, წყალმოვარდნები, ხანძრები, მიწისძვრები, ქარიშხლები... დანგრეული ქალაქები, გადამწვარი ტყეები, სოფლები, კუნძულები, ასობით დაღუპული ადამიანი აშშ-ში, ჩინეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ბულგარეთში, ინდოეთში... 29 აგვისტოს თბილისში სამ საათში იმაზე მეტი ნალექი მოვიდა, ვიდრე 2015 წლის 13 ივნისს დამაქცევარ ექვს საათში. სანიაღვრე სისტემამ იქაც ვერ გაატარა მოვარდნილი წყალი...ოღონდ, არ ამტყდარა რევოლუციები, სამოქალაქო ომები, არ ჩაუსაფრებიათ საგანგებო საპარლამენტო საგამოძიებო კომისიები, ზურგისქარის დასაჭერად არ გამოჭენებულან სიზმარში და ცხადშიც პრემიერ-მინისტრობისთვის მარად მზადმყოფი იქაური გიორგი ვაშაძეები და ზეაწეული მუშტით არ მიუთითებიათ მთავრობისთვის ვითარების მოწესრიგების ღონისძიებანი.

მაგრამ შოვის ტრაგედია ჯერ არ ამოუღიათ კედელზე „მთავრობის უპირველეს ბოროტმოქმედებათა“ ნუსხიდან. სექტემბერში საპარლამენტო წივილ-კივილის მაქსიმუმებს გვპირდებიან.

**მაგრამ საპარლამენტო სექტემბერი მხოლოდ შოვით როდი იქნება გაჯერებული, ეს თვე ხომ ევროპაში საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის დალი ჰასანივით გაჭრით დაიწყო: საქართველო ასე თანდათან, თავისით, ზემოდან უკარნახოდ მივიდა პოლიტიკურ სიახლემდე – პრეზიდენტის იმპიჩმენტამდე.**

თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ „ქართული ოცნების“ ეს თავგანწირული ნახტომი-იმპიჩმენტი უფრო გულზე მჯიღის დაბრაგუნებაა, ვიდრე ამ პროცესის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა: „ოცნებას“ დაწყებულის ბოლომდე მისაყვანად საპარლამენტო ხმები არ ეყოფა, არანაირად, თუ ოპოზიციამ არ მიაშველა, რაც სავარაუდოდ არც მოხდება. **ნათქვამია, უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშიაო.**

ყველისთვის უეჭველად ვაჭრობა ატყდება და ამ ვაჭრობის ობიექტიც უკვე ჩანს ყვავივით: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამნისტია!

მაგრამ, მოდით, ჯერ ის ვთქვათ, დაარღვია თუ არა საქართველოს კონსტიტუცია მისი დაცვის გარანტმა სალომე ზურაბიშვილმა?

რა თქმა უნდა, “ქართული ოცნების“ და მთავრობის აღშფოთება მხოლოდ იმას არ გამოუწვევია, რომ პრეზიდენტი შატალოზე წავიდა ევროპაში. შიში აღიძრა იმის გამო, რასაც ეს ქალბატონი იქ შეხვედრებისას იტყოდა, ანუ იმას, რაც შარშან თქვა იმავე ევროპაში და არაერთგზის აქაც გაიმეორა საპარლამენტო და სხვა ტრიბუნებიდან – საქართველო მზად არ არის ევროკავშირში მისაღებადო!

ასე დაკარგა მან სანდოობა.

არადა, ყველას გუშინდელივით გვახსოვს მისი კურთხევა ამ მაღალ თანამდებობაზე. მაშინ ის ბიძინა ივანიშვილის მიერ ყველას გასაოცრად საპრეზიდენტოდ შერჩეული, მართლაც არაფრით იქცევდა ყურადღებას. თანაც, ცუდი მაგალითიც გვედო წინ. წინარე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ასევე უსახურმა და ძალისძალად გათრეულმა, შემდეგში ბოროტად დაუფასა ბიძინა ივანიშვილს „მეძუძურობა“ და ამაგი, წიხლი უკრა გობზე, რომლიდანაც იკვებებოდა, ბოლოს კი საერთოდ მტრად მოეკიდა.

ზუსტად ასევე, როგორც იტყვიან, ერთი ერთზე განმეორდა მომდევნო პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაშიც, რამაც ყველაფერთან ერთად, ისიც დაადასტურა, რომ ასევე ძალად „არჩეული“ თანამდებობის პირი, როგორც კი კუჭს ამოივსებს, ანუ თანამდებობას დაიგემოვნებს, უმრავლეს შემთხვევაში „განზე გადის“, თავის „სათაკილო წარმოშობას“ უარყოფს და ბარიკადების მეორე მხარეს აფარებს თავს (ცირკი არ იქნება, მეექვსე პრეზიდენტიც რომ ასეთი “მეამბოხე“ შეგვრჩეს ხელთ?!). ეს, ალბათ, შთამომავლობისთვის კეთდება, რათა პენსიაზე გასულმა წაიტრაბახოს, დამოუკიდებელი ვიყავიო. თუმცა, საბედნიეროდ, მემუარების წერა სხვებსაც ეხერხებათ და ის სხვები კიდევ, თავის მხრივ, უთუოდ აღნიშნავენ რა „დამოუკიდებლები“ და „ყოჩაღები“ იყვნენ მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტები მამამძუძის წინააღმდეგ...

ქალბატონი სალომე, მას შემდეგ, რაც ოპოზიციის მოწონება და მხარდაჭერა აბჯრად აისხა ტანზე, სულ გამოვიდა წყობიდან. აი, ახლაც: თავი აალირა და მთავრობის თანხმობის გარეშე ევროპაში გაემგზავრა, ჩვენ კი თვითმფრინავში გადაღებული სურათით დაგვემშვიდობა თვითკმაყოფილი და ცინიკურად მომღიმარი. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებდა, მისი ეს ვოიაჟი „საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროპელი ლიდერების მხარდაჭერის მოსაპოვებლად“ იყო გამიზნული. საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება, ანუ მთავრობა და არა პრეზიდენტი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მთავრობის თანხმობით არის უფლებამოსილი, განახორციელოს წარმომადგენლობითი ურთიერთობები საგარეო პოლიტიკაში და ჩაერთოს საერთაშორისო მოლაპარაკებებში (საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

ნათელია, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ამჟამინდელი ვიზიტები კონსტიტუციის დარღვევაა. ამას ურეაგირებოდ ვერ დავტოვებდითო, განგვიცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.



**დმიტრი მედვედევი: თბილისისთვის მოვიდა დრო, აღიაროს ობიექტური რეალობა და შეუდგეს თანასწორუფლებიან დიალოგს სოხუმსა და ცხინვალთან.**

ამით ყველაფერი ნათელი ხდება.

ირაკლი კობახიძემ და სხვა ოცნებელებმა ისიც ხაზგასმით განაცხადეს, იმპიჩმენტის განხორციელების იმედი ნაკლებია, რადგან საამისოდ საჭირო 100 ხმა არა აქვთ.

ერთი სიტყვით, ზურაბიშვილმა უხეშად დაარღვია კონსტიტუცია, რისთვისაც ის მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ანუ ყური აეწიოს. ფაქტობრივად, ხომ არავითარი იმპიჩმენტი არ იქნება.

ახლა ბევრი იმასაც ლაპარაკობს, თუ რატომ არ დახუჭა მთავრობამ თვალი პრეზიდენტის ამ აშკარა დემარშის გამო? ან რატომ არ მისცა თანხმობა ქალბატონ სალომეს? ხომ შეიტყო, რომ ის გლახად იყო ატეხილი? ბოლოსდაბოლოს მიზანი ხომ აშკარად საპატიო, საჭირო, ქვეყნისთვის სასარგებლო იყო?

ამ შეკითხვაზე პასუხს თვით პრეზიდენტი იძლევა, ანუ მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. როგორც ზემოთ ვთქვით, **ევროპაში წინა ვიზიტის დროს ზურაბიშვილმა არაერთგზის განაცხადა, რომ საქართველომ სტატუსი სამართლიანად ვერ მიიღო იმის გამო, რომ მზად არ იყო ამისთვისო. ისიც არაერთგზის თქვა, უკვე სამშობლოში, საქართველო არც ამჟამად არის მზად სტატუსის მისაღებადო. ერთი სიტყვით, დაიარეგა ეს ქალბატონი ევროპაში და თავს ჭრის საკუთარ ქვეყანას. თუმცა, რომ ჰკითხო, იგი ამაყია, რომ ჩვენ წარმოგვადგენს, როგორც მან ევროპის ძალისძალად მოვლის შემდეგ განაცხადა. ეს მას შემდეგ, რაც ისიც შეგვატყობინა, ჩემს გადადგომაზე ფიქრიც კი არ გაივლოთ გულშიო.**

აი, ასე ცალკ-ცალკე იბრძვიან ევროკავშირში შესასვლელად ოპოზიცია, პრეზიდენტი და მთავრობა. მერე გვიკვირს, წინ რატომ არ მივიწევთო? რატომ გამოგვდის მთლად ლენინურად: „ნაბიჯი – წინ, ორი ნაბიჯი – უკან“.

* * *

**როგორც კოჭებში ეტყობა, ამ სადარდებლის გარდა კიდევ გვემუქრება სხვა სადარდებელი.**

**მოდი და ამ რუსეთისა რამე გაგიკვირდეს. 2008 წელს რა უბედურებასაც გადაგვყარა, იმას რა დაგვავიწყებს? არადა, ახლაც იმავე ჩანაფიქრით, ტერიტორიების გამოღლეტვის მიზნით შეიჭრა უკრაინაში, მაგრამ დედა ეტირა: რომ ეგონა ორიოდ თვეში მოვრჩებიო, აგერ უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია იბრძვის და დასასრული არ უჩანს. მთელი მსოფლიო აალავღავა, მტრად მოიკიდა, თვით უკრაინა კი სამუდამოდ გადაიკიდა. ჭკუა მაინც ვერ ისწავლა და რქები არ მოიმტვრია, ხომ ასეთ შავ დღეშია უკრაინაში – აშკარად გამოიკვეთა, რომ მას იქ არავინ გაამარჯვებინებს, მაგრამ მაინც მოიწევს ჩვენზე. როგორც იტყვიან, გინდა წინ უქენი და გინდა უკან, მისთვის სულერთია. 26 აგვისტოს რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილემ, გადახერხილმა დიმიტრი მედვედევმა, რომელიც, როგორც წესი, პრეზიდენტ პუტინს ახმოვანებს, აღიარების მე-15 წლისთავი მიულოცა აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და განაცხადა: თბილისისთვის მოვიდა დრო, აღიაროს ობიექტური რეალობა და შეუდგეს თანასწორუფლებიან დიალოგს სოხუმსა და ცხინვალთანო.**

**რფ საბჭოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგორი კარასინმა კი საჯაროდ გაამხილა, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოდან გამოყოფილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი აღიარონ სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის ჩინეთმა და ინდოეთმა. ამ იდეასთან დაკავშირებით დასავლეთს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს აღიარება მაინც მოხდებაო.**

**აი, მაშინ აგვიშენდება ოჯახი, ოპოზიციავ! მაშინ მოითხოვეთ საგამოძიებო კომისიის შექმნა ხელისუფლების ბრალეულობის დასადგენად.**

მთავარი უბედურება, რაც გვჭირს, ის კი არ არის, რომ ოპოზიცია მოუღლელად ებრძვის ხელისუფლებას, არამედ ის, რომ იგი ხელისუფლების დაუძინებელი მტერია, იმდენად, რომ ამ მტრის წინააღმდეგ ნებისმიერ პირსისხლიან დუშმანს შეეკვრება.

ჩვენ რევოლუციებს იოლად ვიწყებთ, მაგრამ განსხვავებულად მოაზროვნეებთან ურთიერთობას – ვერა!

**ალეკო ასლანიშვილი**



# ნაც-ნარატივზე ჯდომა ევროპული ღიმილით...

**ბორელმა ევროპული ბიუროკრატიის მოცემულობიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სუვერენის პოზიციიდან გამომდინარე, ახალი არაფერი გვითხრა...**

**მოდით, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი და ემოციური აღტყინების გარეშე მშრალად შევაფასოთ ჩვენი და დასავლეთის დამოკიდებულება.**

ბუნებრივია, რომ ყველას გვინდა იმ პრინციპებით ცხოვრება, რაც დასავლური სახელმწიფოებრიობის მთავარი განმსაზღვრელია და ის პრიორიტეტები, რაც დასავლურ სახელმწიფოებს აერთიანებს.

ყოველგვარი „ზე-მოსაზრებებისგან" განსხვავებით, როგორებიცაა – „ჩემმა შვილებმა ევროპაში უნდა ისწავლონ", „ევროპაში მინდა მოგზაურობა", ან „ევროპული ხელფასები და პენსია მინდა" ევროპის უმთავრესი პრინციპი არის გარანტია:

**გარანტია უსაფრთხოების.**
**გარანტია სოციალური დაცვის.**
**გარანტია კანონის უზენაესობის.**
**და მთლიანობაში ნორმალური ცხოვრებისა!**

ახლა არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ როგორ არის აცდენილი ამ პრინციპებს დღევანდელი ევროპა თავისი ბიუროკრატიით, კორუფციით, აშშ-დან იმპორტირებული აგრესიული ლიბერალიზმის გავრცელებით, რაც თავად ევროპელებისთვისაც მიუღებელია.

არ დავიწყებ თუნდაც იმიტომ, რომ ამ ყველაფერს ფაქტობრივად ყოველდღე ვაწყდებით.

ზემოთ ნათქვამი სიტყვა „გარანტია" იყო და არის ის მიზეზი, რის გამოც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერა ევროპისკენ სწრაფვა და რის გამოც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას.

დიახ, მხარი დაუჭირა ევროპულ ინტეგრაციას და არა იმ რაღაც გაურკვეველ სტატუსს, რომელის მონიჭების შემდეგ რა შედეგს ველოდებით არავინ არ იცის.

**და თუ ვინმემ იცის, გთხოვთ, რომ მე ამ გაუნათლებელ ადამიანს ამიხსნათ რას გვაძლევს ეს „კანდიდატის სტატუსი".**

**1. საბანკო პროცენტები შემცირდება?**

**2. პენსიები გაიზრდება?**

**3. ჩემი ბიძაშვილისგან თხილს მისი კლასელი კი არა, ბორელის მეზობელი ჩაიბარებს?**

**4. მწერალს დაერქმევა მწერალი, ჟურნალისტს ჟურნალისტი და არა ვიღაც შარლატანებს?**

**5 ერთკაციანი პარტიები და პოლიტიკანები სოფლებში წავლენ და ყანაში იმუშავებენ?**

**6. უმაღლეს კანონმდებლებად „რწყილი და ჭიანჭველა" რომ არა აქვთ წაკითხული, ისეთი ხალხის ნაცვლად მცოდნე და გამოცდილი ხალხი გვეყოლება?**

**თუ რა მოხდება?**

**გეაჯებით, გამაგებინეთ.**

**მოლდოვა (დსთ-ს წევრი მოლდოვა) უკვე ერთი წელიწადია ამ სტატუსს ფლობს და რა შეიცვალა მოლდოვაში?**

**რა შეიცვალა ეკონომიკის, დემოკრატიის, კულტურის, განათლების და საერთოდ ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით?**

**გთხოვთ, არც ეს დამიმალოთ.**

ბევრს აღარ ვილაპარაკებ, პირდაპირ ჟოზეფ ბორელის ვიზიტზე გადავალ და შევეცდები მშრალად შევაფასო ის შედეგები, რასაც ამ ვიზიტისგან უნდა ველოდოთ.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ბევრს არაფერს. ბევრს არაფერს, რადგან ბორელმა ევროპული ბიუროკრატიის მოცემულობიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სუვერენის პოზიციიდან გამომდინარე, ახალი არაფერი გვითხრა (პრინციპში, სხვა მოლოდინი არც მქონდა).

მან თქვა ის, რასაც ამდენი წელიწადია ვისმენდით კრამონებისგან, ფონ დერ ლაიენებისგან და სხვა ძველი, თუ ახლანდელი ევროჩინოვნიკებისგან.

ის, რომ ბორელის მიერ ნათქვამი ფრაზების მთავარი ხაზი ძირითადად ოპოზიციის ნარატივზე იყო აგებული, არც ეს იყო მოულოდნელი.

მოულოდნელი არ იყო თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთ დროს, როცა უნდა ილაპარაკო და არაფერი არ უნდა თქვა და როცა არაფერს არ უნდა დაჰპირდე, ყველაზე კარგი პოზიციაა, რაღაცეები დაიწუნო, მისცე შენიშვნები და დაეყრდნო ამ შემთხვევაში არა ოპონენტის, არამედ აშკარა მოწინააღმდეგის „არგუმენტებს" (თუნდაც ეს არგუმენტები აშკარად აბსურდული იყოს) შესანიშნავი გამოსავალია.

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, პირდაპირ ვიტყვი, რომ იყო ზუსტი, კონკრეტული და რაც მთავარია ისეთი, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე მისაღებია.

მოსახლეობისთვის, რომელსაც გააჩნია თავისი პრინციპები, პოზიცია და ღირსება.

მოსახლეობისთვის, რომლისთვისაც „მზე დასავლეთიდან ნამდვილად არ ამოდის" და არც „ცალ ფეხზე დგომას" არ აპირებს.

გთავაზობთ მცირე ამონარიდებს ირაკლი ღარიბაშვილის, ბორელის და შალვა პაპუაშვილის განცხადებებიდან, რომლებიც ზუსტად გვაჩვენებენ არსებული ვითარების არსს.

ბორელი – ჯამში 12 პრიორიტეტი გვაქვს, ყველა მნიშვნელოვანია. იმ რეფორმებს ეხება, რომელიც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს არა ბრიუსელისთვის, არამედ იმისთვის, რომ ცხოვრება გაუმჯობესდეს, გაუმჯობესდეს დემოკრატია. მიმაჩნია, რომ არის დრო და ძალისხმევაა გასაწევი.

კი ბატონო. ცხადია, რომ ის რეფორმები, რომლებიც უნდა განხორციელდეს, მთავარია არც ბრიუსელისთვის და მითუმეტეს კუალა ლუმპურისთვის, მთავარი და მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ჩვენი მომავლისთვის და ეს რეფორმები სწორედ საქართველომ უნდა გაატაროს. ამისთვის კი უმთავრესია ქვეყანაში იყოს სტაბილურობა და სხვადასხვა ჯურის მაჯლაჯუნები არ ქმნიდნენ ხელოვნურ ბარიკადებს.

ბარიკადებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში სწორედ ზოგიერთი ევროჩინოსნის გაუაზრებელი ფრაზები ამყარებენ.

ყველაზე მთავარი, რაც რეფორმებთან და მათ შესრულებასთან დაკავშირებით არის იმ ევროჩინოსნების მხრიდან „ხალხისა" და „ხელისუფლების" გამიჯვნა.

**არ დავსვამ შეკითხვას „ხალხი ხელისუფლების გარეშე როგორ გაატარებს რეფორმებს?" და უბრალოდ შალვა პაპუაშვილის განცხადების ამონარიდს მოვიყვან – შეხვედრაზე ხაზი გაესვა, რომ ე.წ. ტერმინოლოგიური გამიჯვნა ხალხისა და ხელისუფლების და მცდელობა, რომელიც ჩვენ გვესმის, სამწუხაროდ, საქართველოში რადიკალური ოპოზიციისგან და ზოგიერთი ევროპარლამენტარისა თუ ევროპელი პოლიტიკოსისგან, არის აბსოლუტურად მიუღებელი ევროკავშირისთვის. ხალხი, ხელისუფლება, ქვეყანა, ეს არის ერთიანი ორგანიზმი და თუკი გადაწყვეტილება მიიღება ქვეყნის მიმართ, მიიღება სწორედ ამ ერთიანი ორგანიზმის – ხალხის და ხელისუფლების მიმართ.**

კიდევ ბევრი რამაა სათქმელი, მაგრამ ყველაზე მთავარი არის პოლარიზაცია, რაც ხშირ შემთხვევაში ოპოზიციის მხრიდან ხელოვნურად ღვივდება და საზოგადოების მუდმივი დაძაბულობისკენ არის მიმართული.

ბორელი: **„ამ ეტაპზე, ყველა ძალისხმევა უნდა იყოს აქცენტირებული იმაზე, რომ პოლიტიკური დაძაბულობა შემცირდეს, ეს პოლიტიკური და ისტორიული შანსი არ იქნეს დაკარგული და ამისთვის ერთად უნდა იმუშაოთ, რადგან შემდგომი ნაბიჯები ევროპის გზაზე, დამოკიდებული იქნება დამსახურებაზე".**

ამ შეშფოთებას აბსოლუტურად ზუსტად უპასუხა **ირაკლი ღარიბაშვილმა:** – ბოლო 1 წლის განმავლობაში, რაც ეს რეკომენდაციები განისაზღვრა, პოლარიზაცია არათუ შემცირდა, არამედ პირიქით, მოიმატა. საქართველოში მოქმედი რადიკალური ძალები ყველაზე ანტიევროპული ძალები, ცდილობენ საბოტაჟი მოუწყონ ამ პროცესს.

* * *

**ბევრს აღარ ვილაპარაკებ და ამ წერილს დავამთავრებ ირაკლი ღარიბაშვილის ერთი მცირე განცხადებით, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ევროპის მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯს, რაც აღმოფხვრის რეფორმების განხორციელების და ქვეყნის ნორმალური განვითარების უმთავრეს ხელისშემშლელ მიზეზს – თუ ევროპელ მეგობრებს სურთ, რომ საქართველოში პოლარიზაცია დასრულდეს, მაშინ ქვეყანას კანდიდატის სტატუსი უნდა მიეცეს.**



**გია გაბრიჭიძე**



**სოსო მანჯავიძე:**

## ერგნეთის ბაზრობის აღდგენა უნდა მოხდეს ცივილიზებულად, რომელიც მთელ ამიერკავკასიიდან მოიზიდავს ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში

# ცრუპატრიოტული ისტერიის გამო

**ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა აღდგეს ე.წ. ერგნეთის ბაზრობა და ამასთანავე, იმავე სახით ეს გაკეთდეს ენგურის ხიდთან. ერგნეთის ბაზრობის იმ სახით აღდგენას, როგორც ეს იყო – უკონტროლო, არ მიესალმება ჟურნალისტი და პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე, რომლის განცხადებით, ეს უნდა იყოს ცივილიზებული, დიდი სავაჭრო ცენტრი, რომელიც მთელ ამიერკავკასიიდან მოიზიდავს ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში.**

**მისი თქმით, იყო ეს პროექტები, რომ ზუგდიდშიც გახსნილიყო ანალოგიური, მაგრამ ვერ განხორციელდა. ამ პროექტის განხორციელებას ავტომატურად მოჰყვება ადამიანური ურთიერთობების დათბობა და ინტეგრაცია.**

**– ბატონო სოსო როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი და აუცილებელია დღეს გაიხსნას ერგნეთის ბაზარი, პლუს ანალოგიური გაიხსნას ენგურზე და ამას მოჰყვეს აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა. თუკი ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული და, მით უმეტეს, უკრაინის ომის ფონზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველო უერთდება რუსეთს, რაშიც ოპოზიცია ბრალს სდებს მმართველ ძალას?**

**სოსო მანჯავიძე:** რუსეთთან შეერთება რას ნიშნავს? როცა ვსაუბრობთ ოპოზიციის არგუმენტებზე, საწინააღმდეგოს მოდელირება გავაკეთოთ - რა ალტერნატიული გზა გვაქვს იმისთვის, რომ ჩვენი იურისდიქციიდან გასული ტერიტორიების რეინტეგრაცია მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში, რათა შემდგომ ეტაპზე გადავიდეთ? ცხადია, გვყავს ერთი წყება აბსოლუტურად ტვინგადაბრუნებული და რეალობის აღქმადაკარგული ადამიანებისა, რომლებიც ასეთ ალტერნატივად ასახელებენ სამხედრო დაპირისპირებას. კერძოდ, აქ იგულისხმება, რომ ჩვენ NATO-ში შევალთ და პირდაპირ ნატოს ძალებით გაძლიერებულები მოვახდენთ ტერიტორიების სამხედრო გზით დაბრუნებას. მეორე გზაა ხანგრძლივი ძალისხმევა მიმართული იმისკენ, რომ მოვატრიალოთ ეს უკუღმა დატრიალებული ჩვენი ისტორიული ჩარხი...

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!



# ზაალ ანჯაფარიძე: კანდიდატის მინიჭების შანსი არის მხოლოდ 40 პროცენტი!

**ოპოზიცია ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობს და დასავლეთს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველო ევროპულ ორბიტას დაშორდა. ოპოზიციის კამპანია ისევ ქართველი ხალხის ფულით ფინანსდება. ოპოზიციასთან ერთად ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში ჩართულია მედია. კერძოდ, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალით ირკვევა, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ დაქირავებულმა ლობისტურმა კომპანიამ Cornerstone-მ, 2023 წლის მაისიდან აქტიურად დაიწყო ტელეკომპანია „ფორმულას“ ლობირება და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე მიკერძოებული ინფორმაცია მიაწოდა აშშ-ის კონგრესისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.**

ცხადია, რომ ლობისტური ორგანიზაციის მხრიდან უჩვეულო არაფერია, ფულს უხდიან და შეკვეთის მიხედვით თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ მთელი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს არც ერთხელ არ დაუსვამთ კითხვა იმის შესახებ რას ნიშნავს ქვეყნის წინააღმდეგ ასეთი ქმედება.

ის რომ ლობისტური კომპანია „ფორმულას“ დაკვეთას შესანიშნავად ასრულებს, ამაზე მეტყველებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერის, **ვედანტ პატელის** განაცხადება, რომლის თანახმად, ნათლად ხედავენ, რომ ქართველი ხალხი საკუთარ თავს ევროპასთან ერთად ხედავს. სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი მოუწოდებს, მთავრობას და ყველა მხარეს, იმუშაონ საჭირო რეფორმების განხორციელებისთვის, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღწევად.

„ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის“ წარმომადგენლის, **კურტ ვოლკერის** განცხადებით, ევროკავშირში მიმდინარეობს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, საქართველოს კანდიდატის სტატუსი ახლავე მიენიჭოს, თუ მომავალში.

**„ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, აცხადებენ, რომ სტატუსის არმინიჭება არის სწორედ ის, რაც ვლადიმერ პუტინს სურს. მას საქართველოს რეგიონის სხვა ქვეყნებისგან განცალკევება სურს და ეს ადამიანები ევროკავშირში ამბობენ, რომ არ სურთ ეს მოხდეს, არ სურთ ვლადიმერ პუტინის სურვილის მხარდაჭერა. ევროკავშირში ადამიანების სხვა ჯგუფი აცხადებს: „ჩვენ მივეცით საქართველოს გარკვეული კრიტერიუმები, მათგან ბევრი შესრულდა, მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ამიტომ, უნდა მოვიცადოთ“,** – განაცხადა **კურტ ვოლკერმა** თბილისში ჟურნალისტებთან საუბარში.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის **მაკა ბოჭორიშვილის** განცხადებით, ძალისხმევა არ დაუშურებია ხელისუფლებას საგარეო ფლანგზე ძალების მობილიზებისთვის, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეღო მაშინ, როდესაც უნდა მიეღო. როგორც ბოჭორიშვილი აცხადებს, ხელისუფლება ახლაც მუშაობს საგარეო ფლანგზე და მიიჩნევს, რომ ყველას აქტიურობას აქვს მნიშვნელობა და ღირებულია თუკი ის მიმართულია სტატუსის მოპოვებისკენ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია კონსტიტუციის დაცვა.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილსა და რადიკალურ ოპოზიციას აქვთ ერთი და იგივე დღის წესრიგი და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ერთი – საქართველოს არ მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი, ეს არის მათი უმთავრესი ინტერესი.

**„თუ მაინც მიენიჭება ქვეყანას კანდიდატის სტატუსი და ამ მხრივ პერსპექტივა არის გაზრდილი ბოლო 2-3 თვის განმავლობაში, სალომე ზურაბიშვილი მაქსიმალურად ეცდება თავის თავზე მიიწეროს ეს გადაწყვეტილება. იმდენად შავით თეთრზე დაირღვა, თან უხეშად, კონსტიტუცია, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგალითად გერმანიაში, სადაც მე გავდიოდი სამართლის კურსს, ასეთი კაზუსები გასახურებლად მიჰქონდათ ხოლმე პირველი კურსის პირველ-მეორე ლექციაზე. ამის რეაგირების გარეშე დატოვება იქნებოდა უპატივცემულობა საქართველოს კონსტიტუციის მიმართ“,** – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერებულს მხოლოდ ერთ მოსაზრებას ეთანხმება, რომ სალომე ზურაბიშვილი შეიძლება ცდილობდეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება საკუთარ აქტივში ჩაიწეროს. ეს სურვილი შეიძლება მას ამოძრავებდეს, მაგრამ მისი თქმით, ძნელია დაეთანხმოს იმას, რომ თითქოს სალომე ზურაბიშვილი ევროპაში წავიდა იმისთვის, რომ საქართველოსთვის ერვოკავშირის სტატუსის მინიჭებას ხელი შეუშალოს.

**„ევროპელებს უთხრას, რომ არ მისცეთ საქართველოს სტატუსი – მიჭირს ამის დაჯერება. შეიძლება ხელისუფლებას აქვს ამის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ბოლომდე არ ამჟღავნებენ, მაგრამ მე პირდად არ მგონია, რომ პრეზიდენტი მუშაობდეს იმისთვის, რომ საქართველოს სტატუსი არ მიენიჭოს და ჩვენი ქვეყანა ამით დარჩეს ისეთ მდგომარეობაში, რომ აქ რუსული გავლენები გაიზარდოს“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

**ზაალ ანჯაფარიძე** რამდენიმე თვის წინ ამბობდა, რომ სტატუსის მინიჭების შანსი 50-50-ზე იყო, მაგრამ რაც ახლა ხდება, რა საინფორმაციო ველიც შეიქმნა კანდიდატის სტატუსის ირგვლივ და განსაკუთრებით დასავლეთში რა საინფორმაციო განწყობითი ატმოსფეროს შექმნასაც ცდილობენ ოპონენტები, შანსებმა დაიწია.

**„ვნახეთ, FARA-მ გამოაქვეყნა მონაცემები, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“, ანუ კეზერაშვილის მიერ დაქირავებულ რომელიღაც პიარჯგუფი მიზანმიმართულად აწვდიდა კონგრესში, სენატში, ანალიტიკურ ცენტრებში და ყველგან სადაც კი ხელი მიუწვდებოდა მიკერძოებულ ინფორმაციას, რომ რაღაცნაირად საქართველოს საერთაშორისო იმიჯი დაეზიანებინათ. ის განცხადებები, რაც ჩვენ მოვისმინეთ თუნდაც იმ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში და მე მას რევანშისტთა კონფერენცია ვუწოდე, ფაქტობრივად, იყო იმის დემონსტრირება, რომ დასავლეთიდან ჩამოსული სტუმრები ამათრახებდნენ „ქართულ ოცნებას“ და მის პოლიტიკას. გასაგებია, რომ ისინი ამ განწყობებს წაიღებენ თავიანთ ქვეყნებში, მერე გაზეთებში დაბეჭდავენ სტატიებს და ა.შ. ოპოზიცია ამაყობს იმით, რომ შეხვედრა ჰქონდათ მათ კარგა ხნის მოკავშირე კრის სოჩასთან, რომელიც არის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის აპარატის უფროსი და აქვს მჭიდრო კავშირები ოპოზიციასთან. იყო მოსაზრება გაჟღერებული, რომ ჩვენ საქართველოში არჩევნების წინ მხარს დავუჭერთ ყველა პროდასავლურ ძალასო, – რას ნიშნავს ამერიკელი ოფიციალური პირისგან ასეთი განცხადება, მე მგონია, რომ გაშიფვრას არ საჭიროებს. არის კიდევ სხვა მოვლენები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ ვამბობ, რომ ჩემი გადმოსახედიდან კანდიდატის მონიჭების შანსი არის 40%, არ მონიჭების 60%, – გამიხარედება თუ ვცდები“,** – აცხადებს **ანჯაფარიძე.**

მმართველი გუნდისგან განსხვავებით, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** არ არის დარწმუნებული, რომ ასეთი მარტივი სურათი იყოს. მისი თქმით, შექმნილ ვითარებაში ყველაზე ადვილია თქვა პრეზიდენტი ოპოზიციის დაკვეთით მუშაობს, თუმცა ამბობს, რომ ეეჭვება ასე მარტივად იყოს საქმე, რადგან დაკვეთას აქვს თავისი ფასი და ამ შემთხვევაში გაუგებარია, რა შეიძლება შესთავაზოს ოპოზიციამ პრეზიდენტს ასეთი სამსახურის საფასურად.

**„ამიტომ, ვეჭვობ, რომ აქ ოპოზიცია იყოს მხარე. უფრო, სავარაუდოდ, მეჩვენება, რომ მხარე იყოს დასავლეთი. გუშინაც საქართველოში ჩატარდა ფორუმი, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია პუტინთან – „როგორ ვებრძოლოთ პუტინს“, მაგრამ ვერ ითმენენ ფორუმის მონაწილეები და, ფაქტობრივად, ლაპარაკობენ იმაზე, როგორ ებრძოლონ „ქართულ ოცნებას“ და ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ და პუტინი ერთი და იგივე არისო. საკმაოდ სერიოზული მობილიზაცია არის დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში საიმისოდ, რომ მოხდეს ხელისუფლების ასეთი დისკრედიტაცია.**

**ახლახან უცხოეთში ვიყავი და საუბარი მქონდა ერთ ცნობილ, არაპოლიტიკოს ადამიანთან, რომელმაც მითხრა, რომ საინტერესოა თქვენთან რაც ხდება, ვიცი, რომ თქვენთან მთავრობა იხედება რუსეთისკენ, ხალხი ევროპისკენო. აი, ეს ადამიანი, რომელიც ძალიან შორს არის პოლიტიკიდან, უკვე გარკვეული პოლიტიკური პოზიციის გახადეს. დანარჩენებზე რა უნდა ვილაპარაკოთ.**

**მე, მგონია, რომ უფრო ასეთი ამოცანების გადაწყვეტაშია ქალბატონი სალომე ჩართული, კერძოდ, დასავლეთის თვალში როგორი იქნება აღქმა და თუ ამ აღქმას დაამახინჯებ, ქვეყნისთვის იქნება ცუდი. ნუ გაგვიკვირდება, შეიძლება არსებობდეს ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ საქართველოსთვის ასე სჯობს. ეს არაპატრიოტობა არის ჩვენში“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

**თამთა ქარჩავა**

---

**– აუცილებელია მოლაპარაკება, მაგრამ რა ფორმატით?**

– მოლაპარაკების რა ფორმატი უნდა იყოს, ეს ცალკე საკითხია. მთავარია დეკლალირებული იყოს, შიგნით გვქონდეს კონსენსუსი მიღწეული, რომ ჩვენ ეს გვინდა. ვინც იძახის, რომ ეს არ გვინდა, ის არის ამ ქვეყნის მტერი და მტრის აგენტურა. როგორ შეიძლება ქართველ ადამიანს არ უნდოდეს აღდგეს ქართული სოფლები და დაბრუნდეს ჩვენი მოსახლეობა? ვისაც ეს არ უნდა, მათი მოსაზრებები შეიძლება მიუღებელი, მაგრამ გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ალტერნატივა გვექნებოდა – არავითარი მოლაპარაკება, ბლოკადა რუსეთთან ყველა მიმართულებით, მყარი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიების პირობებში დასავლეთიდან. ასეთი შემთხვევაში უარს ვამბობთ მოლაპარაკებაზე, რუსეთთან ვწყვეტთ ყოველგვარი ურთიერთობებს, ანუ გადავდივართ რადიკალური კონფრონტაციის რეჟიმში.

**– მაგრამ ასეთი გარანტიები არ არსებობს, მეტიც იგივე უკრაინასთან ომის მიუხედავად, დასავლეთი აგრძელებს ეკონიმიკურ ურთიერთობებს რუსეთთან...**

– ასეთი არჩევანი არ არის, ასეთი არჩევანის დადგომის პერსპექტივაც არის აბსოლუტურად ნულოვანი, ვინაიდან ევროკავშირმა განაცხადა, რომ 2030 წლამდე არანაირ გაფართოებას არ აპირებს. თუმცა, მანამდე ევროკავშირს რა ბედი ეწევა, ესეც ცალკე საკითხია. საინტერესოა, რისთვის იბრძვიან ესენი? – იმ გაერთიანებაში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსი მოიპოვონ, რომელიც 2030 წლამდე გაფართოებას არ აპირებს და არც 2030 წელს აქვს შენი მიღების განზრახვა. აბსურდის თეატრი არ არის? – ცხადია, რომ არის. სამწუხაროდ, ამ ილუზიებს და აღქმებს ეწირება მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა.

**– აქედან გამომდინარე, რამდენად აუცილებელი და სწორია, ერგნეთში და ენგურის ხიდთან ახალი ეკონომიკური ზონის გაჩენა? როგორც ჩანს, მიდის მოლაპარაკება, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან არა აქვს მხარდაჭერა, მაგრამ არც ხელის შეშლა. ცხადია, ერგნეთის ბაზრობას ჰქონდა დიდი დატვირთვა, მაგრამ იყო კონტრაბანდის უდიდესი წყარო, მაგრამ მის დახურვას მოჰყვა უმძიმესი შედეგები.**



**ერგნეთის ბაზრობის აღდგენას პროექტის განხორციელებას, რა თქმა უნდა, ავტომატურად მოჰყვება ადამიანური ურთიერთობების დათბობა და ინტეგრაცია... საქართველოს მხარე ამაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს და საქართველოს ხელისუფლებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეიტანოს.**

– ერგნეთის ბაზრობის ისე აღდგენას, როგორც ეს იყო მაშინ – უკონტროლო, არც მე მივესალმები, მაგრამ ეს უნდა იყოს ცივილიზებული, დიდი სავაჭრო ცენტრი, რომელიც მთელი ამიერკავკასიიდან მოიზიდავს ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში. იყო ეს პროექტები, მათ შორის ზუგდიდში გახსნილიყო ანალოგიური, მაგრამ ვერ განხორციელდა. ამ პროექტის განხორციელებას, რა თქმა უნდა, ავტომატურად მოჰყვება ადამიანური ურთიერთობების დათბობა და ინტეგრაცია, მაგრამ ამავე დროს ის საკითხები, რომელიც უკვე ჩამოვთვალე, თანმდევი პროცესი უნდა იყოს, ეს უნდა იყოს მრავალმხრივი კონტაქტებისა და ურთიერთობების შედეგად. ცხადია, საქართველოს მხარე ამაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს და საქართველოს ხელისუფლებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეიტანოს.

**– როგორც ჩანს, ხელისუფლება მაინც თავს არიდებს, რადგან ეს უკავშირდება ოკუპირებულ ტერიტორიებს, სადაც მთავარი არის რუსეთი...**

– თუ გვინდა, რომ ეს ტერიტორიები სამუდამოდ იყოს ოკუპირებული და იქ ყოველგვარი ქართული აღმოიფხვრას, როგორც მაგალითად, ამოძირკვულია და აღმოფხვრილია ჩვენს ძირძველ ტერიტორიებზე, სადაც საქართველო წარმოიქმნა (ცნობისთვის, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ძირი და ფესვი არის იქ, სადაც საქართველო აღარ არის დღეს და არც ქართველები აღარ ცხოვრობენ – სამხრეთ საქართველოს, ანუ, ტაო-კლარჯეთს, შავშეთს ერუშეთს, იმერხევს ვგულისხმობ).

კი, ბატონო, ვიყოთ ასე და ფეისბუქში გამოვხატოთ ჩვენი ნაციონალისტურ-უტოპისტური გრძნობები. რა თქმა უნდა, ამის იურიდიული უფლება, რომ ეს აუკრძალო ხალხს, არავის არ აქვს და მათ შორის არც მე. მაგრამ, ეს ძალიან ჰგავს ბიბლიური ონანის ცოდვას და ამ ცოდვით შეპყრობილი ადამიანები შემჩნეული არიან უშედეგო და უაზრო ემოციების გამოხატვის მიდრეკილებაში, რაც როდესაც მასობრივ ხასიათს იღებს, მძიმე შედეგებს იწვევს.

იხ. 8 გვ.

# SOS! – წაუკითხავად დაწვით!.. ან, წაკითხვისთანავე გამოგვეხმაურეთ!..



# ნეოლიბერალური ფაშიზმი

**ჩვენ ვერ ვეგუებით და არც უნდა შევეგუოთ იმას, რომ ნეოლიბერალური ფაშიზმი თავისი პროპაგანდითა და პრაქტიკული ქმედებებით ანადგურებს ადამიანში ადამიანურობას, სულიერად და ფიზიკურად ღუპავს მოზარდ თაობას**

**– განცხადებები განცხადებად, მაგრამ პირწავარდნილი ფაშიზმი მათი მოქმედებებით გამოიხატება. ლგბტ თემისა და სამარცხვინო იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებს სამსახურებიდან აძევებენ და აქტივისტებს აპატიმრებენ.**

აგერ, ჩვენთან, ხელისუფლება თუმცა ჯერ არ გადასულა ნეოლიბერალი ფაშისტების ხელში, მაგრამ ლგბტ (ანუ ჰომოსექსუალების, ლესბოსელების, ტრანსგენდერების) თემის აღლუმის ჩაშლის გამო რამდენიმე აქტივისტი ხუთ-ხუთი წლით ციხეში გამოჰკეტეს აშშ-ის ელჩის აქტიური მეცადინეობის შედეგად, ხოლო ლგბტ ფესტივალის აღკვეთისთვის აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსნები საქართველოს დასანქცირებით დაემუქრნენ.

ეს მუქარა რამდენად შესრულდა, ამის შესახებ უტყუარი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა ის კი ვიცი, რომ რაღაც ფინანსურ წყაროებს თავიანთი გავლენის სფეროებში გადაუკეტავდნენ. აბა, რითი ავხსნა ის, რომ ორნიშნა რიცხვით ზრდადი ეკონომიკის პირობებში ქრონიკული დაავადების მქონე (მაგალითად დიაბეტიანებს) უფასო წამლებით უზრუნველყოფა შეუწყვიტეს. მიზეზად ფინანსების ლიმიტის ამოწურვა დაასახელეს!

ეს ჩვენთან, სადაც ნეოლიბერალურ ფაშიზმს ჯერ ხელისუფლება არ ჩაუგდია ხელში, ხოლო იქ ინგლისში, გერმანიაში და ბევრ ევროპულ ქვეყანაში ადამიანებს მშობლის უფლებას ართმევენ, შვილების აღზრდის ნებას არ აძლევენ. 14-15 წლის ქალიშვილი ღამის ორ საათზე რომ დაბრუნდეს შინ და მშობელმა ხმამაღლა რომ უთხრას საყვედური, თუ შვილი პოლიციაში დარეკავს, პატრული მოვა და „მოძალადე“ მშობელს (ან მშობლებს) ციხეში მიაბრძანებს, ამის მცდელობები ჩვენშიც არის უკვე.

ევროპის „მოწინავე ქვეყნებში“ არასრულწლოვან მოზარდებსა და მცირეწლოვან ბავშვებს სქესის შეცვლის უფლება აქვთ და შესაბამისი ოპერაციები მშობლების ნებართვის გარეშე კეთდება, მშობელი თუ ამას გააპროტესტებს ან ხელის შეშლას შეეცდება, ძალადობის ბრალდებებით ციხე არ ასცდება.

**ზოგ რამეში ნეოფაშისტები და ძველი ფაშისტები ერთი ერთში ჰგვანან ერთმანეთს – მაგალითად, გერმანიის ესესის რაიხსფიურერი ჰიმლერი, რომლის ბრძანებით მილიონობით ადამიანი დაწვეს გაზის ღუმელებში, ცხოველთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე იყო და არაერთი ფერმერი გლეხი სასტიკად დასაჯა საკუთარი ცხენისა და ხარის სახრითა და მათრახით გალახვისათვის.**

ადრე თუ ევროპის ორ ქვეყანაში იყო გაბატონებული რასიზმი (იტალიასა და გერმანიაში), ახლა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველა ევროპული ნატოს წევრ ქვეყანაში ჰყავის რასიზმი.

რასიზმია, აბა, რა არის ის, როცა ეროვნული და საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ხდება ადამიანებისა და მთელი ერების ღირსების განსაზღვრა, ერთმა ძალიან ცნობილმა ევროკავშირის ლიდერმა საჯაროდ განაცხადა: კულტურა და პროგრესი ევროპის მახასიათებელია, დანარჩენი ქვეყნები ჯუნგლებიაო, ჯერ ერთი, აზიური კულტურა და ცივილიზაცია ათასი წლით უსწრებს ევროპულ კულტურას, ჩინეთსა და ინდოეთში ფილოსოფიური თეორიები რომ იქმნებოდა; დენთი და ქაღალდის წარმოება რომ იცოდნენ, სპარსეთში აბანოები რომ ჰქონდათ და ნელსაცხებლებს რომ ხმარობდნენ, აზიაში კერძებს ათასნაირი სუნელებით რომ აზავებდნენ, ევროპელებმა მაშინ ტუალეტი რა იყო ის არ იცოდნენ და უმ ხორცს სჭამდნენ! ეს არ უნდა დავიწყებოდა იმ „დიდ“ ევროპელ ჩინოსანს და არაევროპელები დაბალი ხარისხის ადამიანებად არ უნდა მოეხსენიებინა, თუმცა რასიზმი არც გერმანიაში დაწყებულა და არც ინგლისში, ევროპის კულტურულ სიამაყეში ანტიკური ცივილიზაციის წიაღში აღმოცენდა, როდესაც ყველა არაბერძენი და არარომაელი ბარბაროსებად გამოაცხადეს. არა და, მთელი ანტიკური კულტურა მცირეაზიის ქვეყნებიდან არის მიტაცებული (აგრეთვე ჩრდილო აფრიკიდანაც!)



**გერმანიის ესეს-ის რაიხსფიურერი ჰიმლერის ბრძანებით მილიონობით ადამიანი დაწვეს გაზის ღუმელებში, როცა იგი ცხოველთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე იყო**

**აი, დღევანდელი ფაშიზმი ნეოლიბერალური სახით, როგორც ეს რეიგანმა იწინასწარმეტყველა; იწინასწარმეტყველა კი არა, გარკვეული ტენდენციების მიხედვით სწორი პროგნოზი გააკეთა, როგორც ოსვალდ შპენგლერმა იწინასწარმეტყველა ევროპის მზის ჩასვენება.**

**აქ, ცოტა ლირიკულ გადახვევას გავაკეთებ:**

ის კი არ მიკვირს, ნეოლიბერალური ფაშიზმი რომ გამეფდა ევროპის უდიდეს ნაწილში, არც ის, მისი საცეცები ჩვენ ხალხსაც რომ მოსწვდა და მოზარდთა ერთი ნაწილი რომ ჩაითრია ჭაობში, მე ის მიკვირს, ჩვენი ხელისუფლება, თავის ოპოზიციასთან ერთად, ჯიუტად რატომ მიიწევს მომაკვდავი ევროპის უკვე გათხრილ სამარეში გადასახტომად?! თანაც ჩვენ გვიმტკიცებს, ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანი და წინაპართა ოცნებააო!

* * *

**მაინც რომელი წინაპარი წუხდა იმის გამო, რომ ევროპელი კი არა კავკასიელი იყო? იმას თუ დავიჯერებთ, რაც ერთმა ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ევროპის რომელიღაც ფორუმზე, რომ „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელიო“, მაშინ რაღაზე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, ევროპელები ყოფილან ისეც და ევროპიდან ევროპაში წასვლას ლამობდნენ?**

ისე, იმ პრემიერ-მინისტრის განცხადებამ, „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელიო“, – ერთობ გააოცა ევროპელები: იფიქრეს, ან ჩვენ ვართ გამოშტერებულები, რომ არ გვცოდნია საქართველო რომ ევროპა ყოფილაო, ან ეს ჩვენი სტუმარია თაღლითი და ჩვენი მოტყუება აქვს განზრახულიო.

* * *

**ის რაც ბათუმში რუსი ტურისტების წინააღმდეგ გამომხტარმა 100-150 ბრიყვმა თუ საქართველოს მტერმა ფაშისტმა ჩაიდინა, დაუსჯელი რატომ დარჩა? ფაშიზმი უკვე კანონით არის დაშვებული?**

**იცოდნენ ნეოფაშისტებმა, ნიუნბერგის პროცესი კიდევ შედგება და იქ გასამართლდებიან არა მარტო ფაშისტები, არამედ ისინიც ვინც ისინი თავის დროზე არ გაასამართლა.**

ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც ყველა პროცესი კანონზომიერად ხდება და ეს კანონზომიერება მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ეფუძნება: არც არაფერი ხდება უმიზეზოდ და არც რაიმე მოვლენა მთავრდება შედეგის გარეშე. ჰო და, რა შედეგითაც დამთავრდა „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ XX საუკუნეში, იმავე შედეგით დამთავრდება ნეოლიბერასტული ფაშიზმი XXI საუკუნეში და, ვფიქრობ, უფრო მძიმე, ბევრად მძიმე შედეგებით!

უფრო მძიმე რატომ იქნება იცით? იმიტომ, რომ XX ს-ის 40-იან წლებში საზოგადოების უდიდესი ნაწილი ევროპაშიც და აშშ-იც ზნეობრივი კოდექსებით ცხოვრობდა, უზენაესის რწმენაც ჯერ კიდევ არ იყო განიორწყლებული არც ევროპაში და არც აშშ-ში. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის ლიბერალიზმი ჰუმანიზმის პრინციპებზე იყო დაფუძნებული და ,,ჩვეულებრივი ფაშიზმისადმი“ დამოკიდებულებაც დიდწილად ჰუმანიზმით იყო გაჯერებული, ამიტომაც ფაშისტ დამნაშავეთა მხოლოდ უმაღლეს წარმომადგენლებს მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა, სულ ათიოდე (თუ უფრო ნაკლებ) კაცს. რამდენიმე მაღალჩინოსანმა ფიურერთან ერთად თვითონ გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს.

ახლა ეგრე აღარ იქნება! ნეოფაშისტების მიერ ზნეობაწართმეული გამოფხიზლებული ხალხი, როგორ მოექცევა თავის და სხვათა გამაუბედურებლებს, წარმოდგენაც კი ძნელია. ზნეობა-ღირსება დაკარგული ადამიანის აგრესიასა თუ, მით უფრო შურისძიებას საზღვარი არა აქვს, რადგან ადამიანის ქცევას, საზღვრებს ზნეობრივი ნორმები უწესებს. როგორც ფ. დოსტოევსკის ერთი პერსონაჟი ამბობს: ღმერთი არ არის, მაშასადამე, ყველაფერი ნებადართულია, საშინელებაა ეს!

ჩვენ ვერ ვეგუებით და არც უნდა შევეგუოთ იმას, რომ ნეოლიბერალური ფაშიზმი თავისი პროპაგანდითა და პრაქტიკული ქმედებებით ანადგურებს კულტურას, ანუ ადამიანში ადამიანურობას, სულიერად და ფიზიკურად ღუპავს მოზარდ თაობას. ეს შეუგუებლობა კარგად სჩანს იმ სასტიკ კონფლიქტებში, რაც აგერ, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რას გვასწავლის ისტორიული გამოცდილება: ყოველი ანტიადამიანური იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული სახელმწიფო ბოლოს თვითონ ამოიჭამს თავისთავს! მაგრამ სანამ ამოიჭამს, ბევრი ბოროტების ჩადენა შეუძლია.

**აი, იმათ მივმართავ, ვისაც საღი აზროვნება, ღირსება და ადამიანობის უმთავრესი თვისება-შემეცნების უნარი არ დაუკარგავს: შეიძლება ვიღაც ხაზეიშვილი, ასევე ვიღაც მანჯგალაძეები, გვარამიები, გოკერიები, სამადაშვილები, გოკუჩავები, უგულავები და მათი მსგავსნი პოლიტიკოსებად ითვლებოდნენ, იმის უფლებას უნდა აძლევდნენ თავს, რასაც მართლა პოლიტიკოსები იმსახურებენ?**

რაჟა სარჩიმელიასი არ იყოს, დათა თუთაშხიას რომ მიმართა გზიდან გადაყვანილი ხალხის საქმესთან დაკავშირებით: თუთაშხია, შენი სიკვდილი, როცა იქნება, მაგათი ხელით იქნება სწორედ!

ვაი, რომ ახლანდელ ხელისუფლებასთან ერთად, ნეოლიბერასტი ფაშისტების გაჯეჯილებას სხვათა სიცოცხლეც შეეწირება, მთელი ქვეყნის კასტრაცია თუ ვერ მოასწრეს, მაინც!



**...უფალს რომ არ მოევლინებინა რუსული ტროცკისტულ-ლენინური „ლიბერალიზმის“ მესაფლავე „ნაპოლეონი“ (სტალინი), რომლის დიქტატურამ კარგა ხნით იხსნა ნახევარი მსოფლიო.**

* * *

**აი, ასეთია ნეოლიბერალური ფაშისტური მომავალი. ნურავის ეგონება, ზოგიერთი ვაიპოლიტოლოგივით, რომ ამ ჩვენს ეროვნულ ლიბერასტ ფაშისტებს ერთპროცენტიანი პოლიტიკური რეიტინგი აქვთ და ხელისუფლებაში მოსვლის არავითარი შანსი არა აქვთ. ასე ეგონა რუსეთის ხელისუფლებასაც, მაგრამ 24-25 ოქტომბრის ღამეს ისე აიღეს ზამთრის სასახლე და სხვა სტრატეგიული ობიექტები, რომ სანკტ-პეტერბურგის მოსახლეობამ დილით შეიტყო, გუშინ რომ რუსეთი დატოვეს ძილის წინ, დილით, ახლად გამოღვიძებულზე სულ სხვა რუსეთი დახვდათ!**

მერე რა ნათელი ტროცკისტულ-ლენინური დღე გათენდა 25 ოქტომბერს, რუსეთის ისტორია ვერასოდეს დაივიწყებს ამას.

საფრანგეთის რევოლუციაც, ისევე როგორც რუსული რევოლუცია, თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგით მოვიდა და მალე ღმერთი უარყო და გილიოტინა აქცია ღმერთად. 1789-1799 წლამდე ხან – რობესპიერები აყრევინებდნენ თავებს დანტონებს. ხან დანტონები – რობესპიერებს. რომ არ გამოჩენილიყო ნაპოლეონი, რომელმაც ერთპიროვნული დიქტატურა დაამყარა ე.წ. „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ (იმდროინდელი ლიბერასტული) რევოლუცია მთელ საფრანგეთს დააყრევინებდა თავებს, ასევე იყო რუსეთშიც, 1917 წლიდან ბოლშევიკური გილიოტინა რუსეთსა და მის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს გაუყენებდა არყოფნის გზაზე, აქაც უფალს რომ არ მოევლინებინა რუსული ტროცკისტულ-ლენინური „ლიბერალიზმის“ მესაფლავე „ნაპოლეონი“ (სტალინი), რომლის დიქტატურამ კარგა ხნით იხსნა ნახევარი მსოფლიო.

**ფხიზლად ვიყოთ და ფრთხილად ქართველებო და სხვებო, ვისაც არ გვსურს ნეოლიბერალური ფაშიზმის „გაზის კამერებში“ ამოთაქვა!**


**ზურაბ ცუცქირიძე,**

პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ტელ: 555 56-75-37




დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 102



# „ოცნებამ" ეს უფასო „კარმუშკა" გააუქმა!



– მომაკვდავმა სააკაშვილმა დემენციის მორიგი რეციდივის ფონზე, ახლახან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებზე ისეთი ნიანგის ცრემლი ღვარა, რომ მოგვიწევს მის ანტიდემენციურ მკურნალობაში, სუფთა ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე – ჩვენი წვლილიც შევიტანოთ. დღევანდელი ჩვენი „გმირი" – ფრანგი პოლიტოლოგი, კინოდოკუმენტალისტი რაფაელ გლუქსმანია. სანამ დაწვრილებით გავივლით, ქართველი გადასახადების გადამხდელთა ხარჯებით რა მატერიალური „პატივი" ვეცით მას, ორიოდე სიტყვა ვთქვათ თავად ჩვენი „მუქთა" ფულის მჭამელზე.

2004 წელს გადაღებული ფილმის „Orange 2004"-ის ავტორი, ორგანიზაცია „სწავლა საზღვრების გარეშე"-ს (Etudes sans frontieres) დამფუძნებელი, რომელიც ახალგაზრდა ჩეჩნებს ეხმარება ევროპაში განათლების მიღებას. ეკა ზღულაძის ქმარი და მათი საერთო შვილის მამა, რაც არ უშლის მას ამავდროულად ფრანგ ჟურნალისტ ლეა სალომესთან თანაცხოვრებას. 2019 წელს ევროპარლამენტის არჩევნებში მოხვდა სოციალისტური პარტიის სიის სათავეში (მის პარტიულ სიას წილად ხვდა 6 სადეპუტატო მანდატი). ახლა კი ჩემი ფინალური კითხვა – იმსახურებს კი ყოველივე ჩამოთვლილი იმას, რომ მხოლოდ რამდენიმე თვეში (2012-2013 წ.წ.) სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჩემი და თქვენი ფულით – რაფაელ გლუქსმანზე იყო დახარჯული 370 ათასი ლარი. კერძოდ:

2012 წლის 25 თებერვლიდან აშშ-ში 6-დღიანი ყოფნის კვების ხარჯი – 21349 ლარი;

2013 წლის 19 იანვრის დუბაის რესტორან HAKKASAN-ში სადილის ხარჯი – 8295 ლარი;

2013 წლის 19 იანვარს დუბაიში 2 დღიანი ყოფნის ხარჯი – 60239 ლარი;

2012 წლის 24 მარტს სინგაპურში 2 დღიანი ყოფნის ხარჯი – 42948 ლარი;

2012 წლის 22 მარტს ტაილანდში 3 დღიანი ყოფნის ხარჯი – 86163 ლარი;

2012 წლის 29 მარტს დუბაიში 3 დღიანი ყოფნის ხარჯი – 41744 ლარი;

2012 წლის 27 აპრილს დუბაიში 3 დღიანი ყოფნის ხარჯი – 48389 ლარი;

2012 წლის 26 აგვისტოს კორსიკაზე 2 დღიანი ყოფნის ხარჯი – 28969 ლარი;

2012 წლის 13 დეკემბერს ჰოლანდიაში 2 დღიანი ყოფნის ხარჯი – 16313 ლარი;

2012 წლის 13 მაისს სლოვენიაში ყოფნის ხარჯი – 279 ლარი.

ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე გლუქსმანისთვის შეძენილი ავიაბილეთების საერთო ხარჯი – 15328 ლარი.

ამ მხოლოდ ერთი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რატომ ძვრებიან ყველა „შავი ხვრელიდან" კვლავ ხელისუფლებაში ჩვენი სექტანტები – არ გეგონოთ, რომ ყველა ჩამოთვლილ ლოკაციაზე გლუქსმანი მარტო იმყოფებოდა.

მე ჩამოგითვლით მისი კამპანიის წევრებს: მიხეილ სააკაშვილი, ირმა ნადირაშვილი, ალანა გაგლოევა, ზურაბ დარჩიაშვილი, სოფიო თათარაშვილი, ლევან ქარდავა, დავით ბაქრაძე, ლევან ვარშალომიძე, გიორგი არველაძე, კოგა ნაყოფია, მერი კოკაია, გიგი უგულავა, გიორგი ვაშაძე, გია ყარამანიშვილი და...დავიღალე დანარჩენების ჩამოთვლით.

ახლა ხომ გესმით, ევროპარლამენტარ რაფაელ გლუქსმანისგან მოყოლილი ამ სათავგადასავლო მუქთა მოგზაურობების შესახებ ისტორიების შემდეგ: რატომ უნდათ კუბილიუსს, იუკნავიჩიენეს, ფოტიგას, კალიურანდს, ფონ კრამონს და... დავიღალე დანარჩენების ჩამოთვლით – სექტის ხელისუფლებაში დაბრუნება. „ოცნებამ" ეს უფასო „კარმუშკა" გააუქმა და ამიტომ ებრძვიან მას ასეთი გაშმაგებით"!..



**დავით ქართველიშვილი**

---




# გიორგი გაბუნიას ურჩევენ „ნაცმოძრაობის" ნაცვლად ისევ პუტინს „მიაწვეს"

**გიორგი გაბუნიას ნაცების რისხვა დაატყდა თავს, როცა მან საზეიმოდ ამცნო საზოგადოებას, რომ „მთავარი არხი" ნაცებისგან გათავისუფლდა – „დიდი სიამაყით ვაცხადებ, რომ ნაცების ტელევიზია არ ვართ".**

შესაძლოა, გაბუნია ასეთი რისხვის ეპიცენტრში მაშინაც არ იყო, როცა პუტინის გარდაცვლილი მშობლების მიმართ ამაზრზენი ტერმინოლოგია გამოიყენა და მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. „მთავარი არხის" დამფუძნებელი **ნიკა გვარამია** იხსენებს, რომ მან ერთხელ უკვე გადაარჩინა გიორგი გაბუნია, რათა პუტინის შეურაცხყოფის გამო პრობლემები არ შექმნოდა. როგორც ჩანს, ამჯერად ნიკა გვარამიას პოლიტიკურად ანგაჟირებული ნაცებისგან გიორგი გაბუნიას ხელმეორედ გადარჩენის სურვილი გაუნელდა.

გვარამიამ მარტივად ახსნა, რომ არ აპირებს „მთავარი არხის" ამჟამინდელი გენერალური დირექტორის გიორგი გაბუნიას დაგმობას, უბრალოდ, არ იწონებს გაბუნიას გულახდილ მონოლოგს. თუმცა გვარამიაც ადასტურებს, რომ მოიტყუება, თუკი იტყვის, რომ „მთავარ არხზე" „ნაცმოძრაობის", ან სააკაშვილის გავლენა არ ყოფილა, ან რომელიმე დასავლური პარტიისთვის არ გაუწევიათ ანგარიში. ანგარიშის გაწევა ერთია, მაგრამ გვარამია ამტკიცებს, რომ „მთავარი არხი" არც ერთი პარტიის გაგრძელება არ ყოფილა.

„მთავარი არხის" გადაცემა „აქცენტების" წამყვანი **ეკა კვესიტაძე** ბევრად უფრო რადიკალური აღმოჩნდა გიორგი გაბუნიას მიმართ. კვესიტაძე შეურაცხყოფილი დარჩა გაბუნიას ნათქვამით, რომ ამ არხის ჟურნალისტები ნაცების საქმეს აკეთებდნენ და თავისუფლები არ იყვნენ.

**„მე არ ვიცი, რა შეხვედრაზე საუბრობს გიორგი, სადაც თურმე გათავისუფლების ცნობას დიდი ოვაციები მოჰყვა, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არასოდეს დამიმალავს კრიტიკული დამოკიდებულება, მათ შორის, „ნაცმოძრაობის" ლიდერების და სააკაშვილის მიმართ",** – ამბობს ეკა კვესიტაძე და გიორგი გაბუნიას ურჩევს, „ისევ პუტინს მიაწვეს!"

**„გაბუნიამ ისეთები ილაპარაკა, ხელისუფლებაში რომ იყოს მიშა, აუცილებლად დაიჭერდა... გვარამიას",** – წერს „ქართული ოცნების" ყოფილი მრჩეველი **ლაშა ნაცვლიშვილი.**

**რა გვიჩვენა გიორგი გაბუნიას მონოლოგმა? იქნებ ის, რომ თვით ნაცებშიც კი არაპოპულარული გახდა ნაცობა? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ნაცმოძრაობასთან" აფილირებულ მედიაში იქნებ, რცხვენიათ საკუთარი წარსულის? ეს ეტაპი დაუდგათ „მთავარი არხის" ჟურნალისტებს, რომ ცდილობენ, „ნაცმოძრაობის" იარლიყი მოიშორონ?**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ მისი სუბიექტური შეფასებით, აქ არის როგორც ბრძოლა გავლენებისთვის „ნაციონალური მოძრაობის" პარტიის სათავეში, ასევე, მის პარტიულ ტელევიზიაში. სავარაუდოდ, აქ ხდება „მთავარი არხის" სპონსორების ცვლილება და გარკვეული მხარეები დაპირისპირებულნი არიან.

**„ვხედავთ უკვე, რომ გიორგი გაბუნიას დაუპირისპირდნენ მისი ყოფილი თანაგუნდელები თუ თანამზრახველები. მე ამას ვუყურებ, როგორც წინასაარჩევნო ბრძოლას, ეს ბრძოლის ხაზი გადის მედიაში. „ნაცმოძრაობისთვის" ერთ-ერთი მძლავრი ტელერუპორია „მთავარი არხი", ამიტომ აქ შესაძლოა, დაფინანსების და დამფინანსებლების ცვლილებაზე, ან ვიღაცის ჩაჩოჩებაზე მიდის საუბარი",** – აღნიშნა **გია აბაშიძემ** და, შეკითხვის საპასუხოდ, ხაზარაძე ხომ არ შევიდა სატელევიზიო თამაშებში, განმარტა: **„ვერ ვიტყვი, ჯერჯერობით ამის კონტურები არ ჩანს, თუმცა, რასაკვირველია, ყველაფერი გამოჩნდება, მით უმეტეს, მედიასივრცეში არაფერი იმალება".**

ამასთან, გია აბაშიძეს არ სჯერა გიორგი გაბუნიას განცხადების, რომ ნაცები მის ტელევიზიას აღარ გააკონტროლებენ, ეს უფრო ანეკდოტის თემად მიაჩნია. ის, რომ „მთავარი არხი" არ იქნება „ნაცმოძრაობის" სარედაქციო პოლიტიკის გამტარებელი, გია აბაშიძის აზრით, ისეთივე ანეკდოტია, როგორც ის ფაქტი, თითქოს კეზერაშვილმა „ფორმულას" აქტივები გადაუნაწილა ტელევიზიის თანამშრომლებს.

ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაიასაც** არ სჯერა, რომ ნაცობა ნაციონალებისთვის, მათ შორის, გიორგი გაბუნიასთვის მიუღებელი გახდა. მისი აზრით, „მთავარი არხის" ხელმძღვანელობა ახლა თამაშობს ფსევდოდემოკრატიულობას. ესენი არიან ისეთივე ტოტალიტარული სექტა და ისეთივე ავტოკრატები, როგორც პრორუსული ტიპის დაჯგუფებები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გაამყარებენ ტოტალიტარიზმს. ოღონდ ესენი არიან შენიღბულნი, ვითომც დასავლური იმიჯით.

**„ესენი არიან ფსევდოლიბერალიზმით შეპყრობილი სუბიექტები, პლუს ამას, მემარჯვენე რადიკალები. „მთავარი არხის" სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის არ მწამს, „მთავარი არხი" პროპაგანდისტული რუპორია, უფრო სწორად, საგიტაციო რუპორი. „ფორმულა" და „მთავარი არხი" ერთიანი საბჭოთა საგიტაციო საშუალებებია. პოლიტიკური გადაფასება ასე იოლად არ ხდება",** – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

**მანანა ნოზაძე**

## ახალციხეში ნაცფრაქცია დაიშალა!

**ახალციხის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის" ფრაქცია დაიშალა. 6-მა ადამიანმა დატოვა როგორც ფრაქცია, ასევე პარტია.** პარტიიდან წასულები აცხადებენ, რომ პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი მათ მიმართ რეპრესიებს ახორციელებდა იმის გამო, რომ ისინი თავის დროზე ნიკა მელიას უჭერდნენ მხარს.

**„მივიღეთ გადაწყვეტილება დავტოვოთ ფრაქცია „ენმ" და გადავიდეთ დამოუკიდებელ დეპუტატებად, სადაც ასევე შეუპოვრად გავაგრძელებთ ჩვენი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების ნებას პროდასავლური საქართველოს შენების კურსით",** – აცხადებს მიმართვაში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი თავმჯდომარე დავით ახალკაცი.

№103. ორშაბათი, 11 სექტემბერი, 2023 წელი.

**უკრაინა მილიარდერ იგორ კოლომოისკის თაღლითობაში ადანაშაულებს!**

**— — — — —**

**რა ქონებას ფლობს ოლიგარქი საქართველოში?**



# ძალიან ჭკვიანი „თაღლითი“!

**უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ბიზნესმენ იგორ კოლომოისკის თაღლითობასა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციაში ადანაშაულებს.**

ფორბსი კოლომოისკის ქონებას 1 მილიარდ დოლარად აფასებს. ბიზნესმენი „პრივატბანკის“ დამფუძნებელია, რომელიც 2016 წელს ნაციონალიზებული იქნა. ის ასევე იყო ნავთობგადამამუშავებელი კომპანიის Укртатнафта-სა და ნავთობისა და გაზის კომპანიის Укрнафты-ის უმსხვილესი აქციონერი, რომლებიც ასევე ნაციონალიზებული იქნა.

როგორც აღმოჩნდა უკრაინელი ბიზნესმენი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკასთანაც

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ“, ბ175619/ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომლის მფლობელებიც უკრაინელი ბიზნესმენები, გენადი ბოგოლიუბოვი და იგორ კოლომოისკი არიან, არის შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ 100%-ის მესაკუთრე, ასევე შპს „ვარციხე 2005-ის“ 100%-ის მესაკუთრე და შპს „ჯი-ეი-ეი მენეჯმენტის“ 100%-ის მფლობელი, ეს უკანასკნელი „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის“ ქართული აქტივების მმართველ კომპანიას წარმოადგენდა.**

**კოლომოისკის კავშირები აქვს საქართველოში კრიპტოვალუტების მაინინგთანაც. საქმე ეხება შპს „ბლოქფაუერს“, რომლის დირექტორი და 30%-იანი წილის მფლობელი ალექსანდრე კუჭუხიძეა, დანარჩენი მეწილეები კი იგორ კოლომოისკისთან დაკავშირებული პირები არიან. 24% – ურიელ ცვი ლაზერი (ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი), 23% ვლადიმირ ჩერტოკი (იგორ კოლომოისკის დის, ლარისას მეუღლე) და 23% ტიმურ მინდიჩი (კოლომოისკის ბიზნესპარტნიორი).**

კოლომოისკის სახელს უკავშირდება რუსთავის ავტობაზრობაც.

**შპს „რუსთავის ავტობაზრობის“ 100%-ს ბელიზში რეგისტრირებული კომპანია შპს „მიკადო ინვესტმენტს“ ფლობს, დირექტორი კი უკრაინის მოქალაქე ევგენი უსტინოვია. „მიკადო ინვესტმენტსის“ საბოლოო ბენეფიციარები ოფიციალურად უცნობია, თუმცა უკრაინულ მედიაში ბოლო მრავლად მოიძებნება მასალა, სადაც „მიკადო ინვესტმენტ“ და შესაბამისად „რუსთავის ავტობაზრობას“ ღიად აკავშირებენ იგორ კოლომოისკთან და გენადი ბოგოლიუბოვთან.**

**რუსთავის ავტოვაზრობა რამდენიმე ნაწილს მოიცავს. შპს „მიკადო-ჯორჯიას“ (მასზე მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობები და ნაგებობები), შპს „რუსთავის ავტობაზრობა“ (კომერციული ობიექტი და მისი მმართველი კომპანია), შპს „რუსთავი-ტერმინალ პლუსი“ (საბაჟო ზონის ოპერატიული მართვა), შპს „რუსთავი-კომფორტი“ (სასტუმრო და კვების ობიექტები).**

**ბიზნესის რეესტრის 2023 წლის მარტის მონაცემებით ობიექტების უმრავლესობას კვლავ „მიკადო ინვესტმენტი“ ფლობს, რომლის დირექტორიც კვლავ ევგენი უსტინოვია. აღსანიშნავია, რომ „მიკადო ინვესტმენტი“ „რუსთავი ტერმინალ პლუსის“ 75% ფლობს 25%-ს კი შპს „ლინკოლნ მენეჯმენტ ჯორჯია“ (თავის მხრივ ამ კომპანიის 75%-ის მფლობელი კვლავ „მიკადო ინვესტმენტია“, 25%-ის კი შპს „ვიტი კომპანი“, რომლის 100%-ის მფლობელი ისევ „მიკადო ინვესტმენტია“, დირექტორი კი ევგენი უსტინოვი).**

2021 წლის მარტიდან ის და მისი ოჯახი აშშ-ის სანქციების ქვეშ იმყოფებიან. ჯერჯერობით, უცნობია რა ბედი ელის კოლომოისკის ქონებას, როგორც უკრაინაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

# ომის დაწყების შემდეგ უკრაინელმა დეპუტატებმა დაახლოებით 3 მილიონი დოლარის ღირებულების ახალი ავტომობილები შეიძინეს

**მაგალითად, პარტია „მომავლისთვის“ წევრი იგორ მოლოტოკი პარლამენტში 2022 წლის Toyota Land Cruiser 300-ით მივიდა, რომელიც 2022 წლის ბოლოს არის შეძენილი და მესაკუთრედ მითითებულია შპს „ვანტი“, რომლის დამფუძნებლებიც თავად დეპუტატი და მისი ყოფილი თანაშემწე არიან. დეპუტატი აცხადებს, რომ $96 000-იან ავტომობილს იმ კომპანიისგან ქირაობს, რომლის თანადამფუძნებელიცაა.**



პარტია „მომავლისთვის“ კიდევ ერთი წევრის, დეპუტატ ალექსანდრ გერეგას კომპანიამ ომის დაწყების შემდეგ Mercedes-Benz-ის მარკის 5 ავტომობილი შეიძინა, რაშიც თითქმის მილიონი დოლარი გადაიხადა. ჟურნალისტური გამოძიებიდან ირკვევა, რომ შპს „епицентр к“-ზე, რომლის თანადამფუძნებელიც ალექსანდრ გერეგაა, 2022 წლის ზაფხულიდან 2023 წლის აპრილამდე შემდეგი ავტომობილებია გაფორმებული: **2022 წლის Mercedes-Benz G63 AMG 2022 ($220 000), 2021 წლის Mercedes-Benz Maybach GLS 600 ($187 000), 2022 წლის Mercedes-Maybach S 680 ($260 000), 2022 წლის Mercedes-Benz V 3003 ($120 000), 2023 okbc Mercedes-Benz EQS 580 ($128 000).**

დეპუტატების მიერ შეძენილ ავტომობილებს შორისაა Rolls-Royce-bc, Tesla-c, Range Rover-ისა და სხვა მარკების ავტომობილები.

# უკრაინაში ჰუმანიტარულ დახმარებას იპარავენ?

**უკრაინის უმაღლესმა რადამ პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ჰუმანიტარული დახმარების შესაძლო მოპარვაზეა საუბარი.**

კომისია ამ საკითხს ერთი წლის განმავლობაში იკვლევდა და საბოლოოდ 88-გვერდიანი დასკვნა დადო. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც ჰუმანიტარული ტვირთების მიღება-განაწილების პროცედურებს შეეხებოდა, ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება „ჰუმანიტარული დახმარების შესახებ“ უკრაინის კანონს.

კომისიამ სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებში ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილებისა და ტრანსპორტირების პროცესში არაერთი დარღვევა გამოავლინა. როგორც ირკვევა, ჰუმანიტარული დახმარების დიდ ნაწილზე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო კონტროლი არ ხორციელდებოდა, რის შედეგადაც ტვირთის დაკარგვის ასობით ფაქტი გამოვლინდა. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე მოკვლევა კი საგამოძიებო ორგანოების მიერ ეფექტურად არ ხორციელდება.



აღსანიშნავია, რომ ზაფხულში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტმა სამხედროებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების გაუჩინარების 650-მდე შემთხვევა დაადასტურა. ჰუმანიტარული ტვირთის გაყიდვის ფაქტები გამოავლინა უკრაინის ეკონომიკური უსაფრთხოების ბიუროამაც.

# ცრუპატრიოტული ისტერიის გამო

(მეხუთე გვერდიდან) **– რაც შეეხება რკინიგზის გახსნას, კელი დეგნანი ამბობს, რომ დაუშვებელია ამ პროექტის განხორციელება. თქვენ როგორ ფიქრობთ, დღეს საქართველოსთვის სწორია აფხაზეთის რკინიგზის გახსნა?**

– დაუშვებელი რა არის? რას ნიშნავს დაუშვებელია? ავიღოთ ტაივანის საკითხი, გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობს ტაივანსა და ჩინეთს შორის, თან წარმოიდგინეთ, შეიძლება ომიც მოხდეს, მაგრამ უზარმაზარი ფული აქვს ჩადებული ტაივანის ფინანსურ ეკონომიკურ ელიტას ჩინეთში, ასევე ჩინეთს, თან ამერიკული ბაზებია იქ და რა? ვთქვათ ჩვენ, რომ დაუშვებელია ის, რომ ტაივანი ვაჭრობს ჩინეთთან, მოდით, ზღვაც გადავკეტოთ... 50 ასეთ პრეცედენტს ჩამოგითვლით და მარტო ჩვენთვის ყოფილა დაუშვებელი!

რა ხდება სინამდვილეში – რკინიგზაც და გზების გახსნა ჩრდილოეთის და სამხრეთის მარშრუტები, ეს საქართველოს ეკონომიკისთვის იქნება უზარმაზარი შემოსავალი და თან ამავე დროს საქართველო გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებსაც მიიღებს იქიდან გამომდინარე, რომ ამ მაგისტრალების დაცვა ამ პროექტების ბენეფიციარების ინტერესებში შევა, რაც, გარკვეულწილად, ამ პრობლემების გადაწყვეტის სტიმული შეიძლება გახდეს, თუ ჭკვიანურად და მიზანმიმართულად ვიმოქმედებთ.

**რა ხდება სინამდვილეში – რკინიგზაც და გზების გახსნა ჩრდილოეთის და სამხრეთის მარშრუტები, ეს საქართველოს ეკონომიკისთვის იქნება უზარმაზარი შემოსავალი და თან ამავე დროს საქართველო გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებსაც მიიღებს.**

საქმე ისაა, რომ აშშ-ს არ აწყობს იმ პროექტების განხორციელება, რომელშიც ის არ მონაწილეობს, ან ვერ აკონტროლებს. ცხადია, კელი დეგნანისთვის ეს დაუშვებელია, მაგრამ დაუშვებელია თავისი ქონების დაბრუნება ქართველი ლტოლვილებისთვის, ადამიანებისთვის, რომლებიც თავის სახლებში ვერ ბრუნდებიან და რომლებსაც ეუბნებიან, რომ არ არის შენიო?! ჩვენი ძირძველი ტერიტორიებია და იქ დაბრუნება დაუშვებელია დეგნანისთვის? წარმოგიდგენიათ, რამდენს ბედავენ! ძალიანაც დასაშვებია და მთავარია, რომ ამ პროექტებიდან მივიღოთ შემოსავალი და ის, რაც თითოეული ჩვენგანის ოცნებაა, რომ ჩვენი ინტერესები და უფლებები აღდგეს იმ ტერიტორიებზე, საიდანაც ჩვენი მოსახლეობა იქნა გამოძევებული და ეთნიკური წმენდა იქნა განხორციელებული.

ამის ალტერნატივა რა არის, უკვე ვისაუბრეთ. ვურჩევ ურაპატრიოტ ფანტასტებს, გააგრძელონ



გინება ფეისბუქში და უყურონ ჩვენი ინტერესების შემდგომ შელახვას. ხელისუფლებას კი შევახსენებ, რომ ძალიან ბევრი დავკარგეთ იმით, რომ ურაპატრიოტულ ილუზიებში მყოფი ადამიანების ისტერიას უწევდა ანგარიშს საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა ეტაპზე. – ჯერ მაქსიმალისტური გიჟური გეგმები იყო და მერე ყველა ეტაპზე მინიმუმის მინიმუმიც სანატრელი ხდებოდა. ამაზე გვიწევს ისევ საუბარი, რომ კარგია თუ ანალოგიურ კრეტინობას არ გავაკეთებთ ისევ და შემდგომ დეზინტეგრაციას არ შევუწყობთ ხელს. ამ პროექტების განხორციელების დაბლოკვას საქართველოს არავინ არ აპატიებს. აქ იმდენი ნარღვევი გვაქვს, იმდენნაირად შეიძლება პრობლემები გამწვავდეს, რომ ჯერ ამის მოდელირება ამათ ტვინში, როგორც ჩანს, არ ხდება და რომ მოხდება, მერე გვიანი იქნება. ამიტომ, ჯობია იმთავითვე ჩვენი ინტერესების პრაგმატული და რეალისტური გათვალისწინება, განსაზღვრა და მოქმედება ვისწავლოთ. სინამდვილეში სწორედ პრაგმატიზმი და რეალიზმია ცრუპატრიოტიზმი და არა გულზე მჯიღის ცემა და ურაპატრიოტული ილუზიები.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**





# რაჭაში მომხდარი კატაკლიზმის მიზეზები და მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების შესაძლებლობანი

**პირველ რიგში შოვში დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპული ადამიანების მშობლებს და ნათესავებს კიდევ ერთხელ გულწრფელი სამძიმარი უნდა გამოვუცხადო.**

**დღეს კი ამას დაემატა გურიისა და აჭარის მეწყერღვარცოფები!.. აქაც არის მსხვერპლი!**

**წლების წინ რამდენიმე ჩემს ყოფილ სტუდენტთან – თამაზ გავაშელთან, ჟორა მეგრელიშვილთან, დღეს ცნობილ დიპლომატთან მერაბ ანთაძესთან, ასევე გეოლოგებთან იური მულაძესთან და ტარიელ თანდილაშვილთან ერთად რაჭაში, კერძოდ, სოფლების მუხლი-წესის, შოვის, უწერის, ზოფხითოს, ღების, გონასა და სხვათა ადგილებში მომიწია მუშაობა.**

**თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ შოვის ბოლო ტრაგიკული მოვლენების ჩემეული და ჩემი კოლეგისა და მეგობრის, მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გეოლოგის, აკადემიური დოქტორის ბატონ მერაბ გაფრინდაშვილისეული შეფასებები და მის მიერ ჩამოთვლილი ხუთი მიზეზი, სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.**

**შეიძლება ამ მასშტაბის არა, მაგრამ ანალოგიური მოვლენები ადრე მან აღწერა და დამაჯერებლად შეაფასა აჭარაში, ყაზბეგში (დევდორაკში). გააანალიზა მდ. ვერესთან დაკავშირებული ლოკალური კატაკლიზმები.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური კომისიის სხდომაზე მდ. ვერესთან დაკავშირებულ მოვლენების თაობაზე მე გამოვედი საგანგებო მოხსენებით, რადგან საკმაოდ ვფლობდი დიდგორის, მათ შორის მთა წვერის გეოლოგიური ხასიათის ფაქტობრივ მონაცემებს.

ისმება კითხვა: შესაძლო იყო თუ არა ამ კატასტროფების პროგნოზირება და რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში არ მოხდეს მათი განმეორება, ან მათი მოქმედების შერბილების საშუალებების გამოყენება?

ჩვენ ვცხოვრობთ საკმაოდ დანაოჭებულ რეგიონში, სადაც დღესაც მოქმედებს გეოდინამიკური პროცესები, რაც გამოწვეულია ტექტონიკით ანუ სხვადასხვა ზომის ფილების თუ ბლოკების გადაადგილებით.

მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს, კავკასიონის (რომლის ნაწილს საქართველო იკავებს) წარმოქმნა, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავაცნოთ მისი მოკლე გეოლოგიური ისტორია, რაც დაგვეხმარება პერიოდული კატასტროფების მიზეზების დადგენაში და ნაწილობრივ მაინც დავსახოთ მათი თავიდან აცილების თუ არა, შერბილების შესაძლებლობა.

უძველეს გეოლოგიურ წარსულში კავკასიას და მის გარშემო ტერიტორიას იკავებდა უზარმაზარი ოკეანე „თეწისი" (ტერმინი შემოღებულია ავსტრიელ მეცნიერ-გეოლოგის სიუზის მიერ და ბერძნულად ზღვიური სტიქიების ქალ-ღმერთის სახელია). ჩრდილოეთით არსებობდა უზარმაზარი, ესპანეთის პირინეებიდან დაწყებული და აღმოსავლეთისაკენ დღევანდელ ჰიმალაებამდე გადაჭიმული ევრაზიის ტექტონიკური ფილა, ხოლო სამხრეთით – აფრიკის კრატონი. 36 მლნ. წლის წინ აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში მერიდიანული მიმართულებით ჩაისახა დიდი სიგრძის პერიკრატონული კიდურა რიფტი და აფრიკას მოატყდა ორი დიდი ფილა. სამხრეთ-დასავლეთ ფილამ დაიწყო გადაადგილება აღმოსავლეთისკენ და საბოლოოდ მიებჯინა სამხრეთიდან ევრაზიულ ფილას და დღეს ის ფილა წარმოდგენილია დიდი ზომის ნახევარკუძულით, რომელსაც ინდოსტანი ეწოდება. მეორე ფილამ, მოტყდა რა აფრიკის კრატონს, მიგრირება დაიწყო ექსცენტრულად ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთით ამჟამინდელ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებისკენ, ხოლო შემდგომ ჩრდილო-დასავლეთისკენ და დღეს მისი სოლისებრი ჩრდილო ნაწილი აწვება მერიდიანულად ჩრდილოეთისკენ, ანუ დღევანდელი რაჭის მიმართულებით.

დღეს აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილსა და აფრო-არაბეთის ფილას შორის დაცილებულ ადგილს იკავებს წითელი ზღვა, რომლის მაქსიმალური სიგანე 306 კმ-ს შეადგენს. რაც შეეხება თვით აფრო-არაბეთის ფილას, მისი გადაადგილება ჩრდილოეთით შეადგენს 250 კმ-ს, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ – 230 კმ-ს.

ყველაფერი ეს გვაიძულებს მონიტორინგი ვაწარმოოთ რაჭის მსგავს ადგილებზე – ზემო სვანეთში, აჭარაში, ყაზბეგში, მთიან კახეთში (თუშეთში, ხევსურეთში, ფშავში), ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, ჯუთაში, ჭიუხის მთებში, აბუდელაურში და საერთოდ „ცხელ წერტილებში", სადაც მოსალოდნელია მსგავსი მოვლენები. აქვე ვიტყვით, რომ აფრო-არაბეთის ფილის მიგრირება ჩრდილოეთისაკენ დღესაც 2,5 სმ-ს შეადგენს წელიწადში.

რაც შეეხება პრევენციას, ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღები და შედეგიანი მიგვაჩნია დათოვლილ მთებში, მათ „მოწიფულ" პერიოდში ხელოვნური ზვავების გამოწვევა ქვემეხებით (ანალოგიურად ისე, როგორც კახეთში ხმარობენ სეტყვის საწინააღმდეგოდ), ოღონდ გარკვეული „პორციებით", რომ არ გამოვიწვიოთ ერთბაშად დიდი მასის თოვლის ჩამოწოლა.

მაგრამ ამ ჩემს რეკომენდაციას აქვს მეტად ცუდი მხარეც: საქმე იმაშია, რომ მისი განხორციელება შესაძლოა უკიდურეს შემთხვევაში (მაგალითად, ისეთებში, როგორიც დატრიალდა რაჭაში). არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთების თოვლი კვებავს მდინარეებს და უმიზეზოდ გამოწვეული ხელოვნური ზვავები გამოიწვევს მდინარეების დაშრობას.

ცალკე განსახილველი პრობლემაა მეწყრული მოვლენები. მათ ასაცილებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ მდინარეების ან უწყლო კანიონების, ხევების, ღელეების ლითოლოგიური შემცველობა (ანუ შევისწავლოთ მათი აგებულების ქანები) და ვისარგებლოთ ცნობილი მეცნიერის მ. პროტოდიაკონოვისა და ქართველი ცნობილი ჰიდროლოგის გედევან (გრიგოლ) ფხალაძის მიერ გამოყვანილი მთიანი მდინარეების „ხასიათით" და ფორმულით – Q= K.V., (სადაც Q – წყლის დებიტია, K – დაქანების კუთხე, V – დინების სიჩქარე). მოყვანილი ფორმულა თითქოს მარტივია, მაგრამ წარმოვიდგინოთ მთიანი პატარა ნაკადული (მაგალითად, მდ. ვერეს სათავე), რომლის ვარდნის სიჩქარე მეტად დიდია, ვიდრე დაბლობის მდინარისა. ძნელია წარმოვიდგინოთ, მაგრამ ეს შესაძებელია, რომ ერთი და იგივე ტევადობის ორი ავზი გარკვეულ ერთსა და იმავე დროში აივსოს იმიტომ, რომ ერთს უპირატესობა აქვს, რადგან დიდი მოცულობის წყალია, მაგრამ ნელა ავსებს მოცულობას, ნაკადული კი თითქოს ჩანჩქერი, იგივე დროში ისეთივე მოცულობას აავსებს!..

ახლა მ. პროტოდიაკონოვის დიაგრამა გავარჩიოთ, რომელიც საკმაოდ მარტივია: თუ მდინარისა და გზის ნაპირის შემადგენელი ქანების ლითოლოგია ცნობილია (გრანიტოიდები, ბაზალტი, კირქვები, ქვიშაქვები, თიხნარი, ქვიშნარი, ნიადაგი) და მათი მდგომარეობა (დაქანების კუთხე გრადუსებში – 1-დან 90-მდე), ლოგიკურია, რომ მკვრივი მაგმური ქანები, თუ ისინი მასიური აღნაგობისაა, მათი თითქმის ვერტიკალური მდგომარეობა გზის პირას დასაშვებია (თითქმის 90 გრადუსამდე, ხოლო სუსტი მდგომარეობის ქანებით შემდგარი ნაპირი უნდა იყოს დაბალი დაქანების, ანუ 90 გრადუსზე ბევრად უფრო დაბალი). სწორედ ეს პრინციპია ჩაქსოვილი მ. პროტოდიაკონოვის დიაგრამაში.

**ნაწილობრივ უნდა შევეხო ბატონ ინფრასტრუქტურის მინისტრ ქარსელაძის გამოსვლას ტელევიზიით რიკოთის გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით. პირველი საკითხი ასეთია: გვირაბის დაპროექტებაში უამრავი უცხოური კომპანია იყო ჩართული, ნუთუ საქართველოში არ გამოინახა არცერთი ადგილობრივი კომპანია, რომელიც ასევე მიიღებდა მონაწილეობას გვირაბების დაპროექტებაში? შევახსენებ ბატონ მინისტრს, რომ თბილისში, დოლიძის ქუჩის დასაწყისში იყო ხიდებისა და გვირაბების საპროექტო ინსტიტუტი, რომლის სპეციალისტების მიერ დაპროექტებული იყო და მათ მონაწილეობით აშენდა კიდევაც ტაჯიკეთის სამხრეთ მოსაზღვრე ტერიტორიაზე ხოროგ-პამირის გზა.**

მეორე საკითხი ეხება იმ სურათს, რომელზეც გადაღებული (თუ დახაზული) იყო გვირაბამდე მისასვლელი ვიწრო გზა, რომლის ნაპირები (ან უფრო, კედლები) ნაჩვენებია (კარგი იქნება, თუ ისინი ჯერ არ აშენებულან) ვერტიკალურ მდგომარეობით (90 გრადუსი), ხოლო მათი ზედა მცირე ნაწილი ოდნავ წაჭრილია დაახლოებით 45 გრადუსის დაქანებით.

ჩემთვის, როგორც გეოლოგისთვის, კარგადაა ცნობილი აღნიშნული ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, რომლის შემადგენელი ქანები არ გამოირჩევა მასიური აღნგაობით (კვარციანი დიორიტები სოფ. წიფასთან, ხშირი დაბზარულობის გამო, შეფასებულია როგორც ნატეხი მაგმური ქანი სამშენებლო ღორღის მასალა და სხვა ქანები, რომელნიც, მ. პროტოდიაკონოვის მიხედვით, უვარგისია, რომ მათგან აგებული სანაპიროები აშენებული იყოს 90 გრადუსის დაქანებით, ანუ, ვერტიკალურად). ჩვენი გამოცდილებით, გვირაბის მისასვლელი გზის ნაპირების დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 40-50 გრადუსს.

**და კიდევ ერთი რეკომენდაცია. გზის ნაპირების ნიადაგი ნახაზზე რატომღაც გაჩეხილია. ცნობილია, რომ არსებობს ბუჩქის, ჯუჯა ხეების რამდენიმე ჯიში, რომლებიც ხასიათდება გრძელი ფესვებითა და ამით ბევრად ეწინააღმდეგება და იცავს ნიადაგს დამეწყრიანებისგან.**

ბატონო ინფრასტრუქტურის მინისტრო, ბოდიშის მოხდით, რომელი გვირაბის ნახაზი გეჭირათ ხელში თქვენს სატელევიზიო გამოსვლაში? საქმე იმაშია, რომ მაგთის ჟურნალ „მუდმივი კავშირის სამყარო", 2022 წლის №4 (96) ქალბატონი თეა ყიფშიძის (გვ. 24) სტატიის ფოტოზე გადაღებულია ორი გვირაბის მისასვლელი ტერიტორია, რომელზეც ნაჩვენებია ნაპირის დაქანება, რომელიც სავსებით პასუხობს ყველა მოთხოვნებს (მარცხენა გვირაბის ნაპირის დაქანების კუთხე სწორედ 40-50 გრადუსს შეადგენს). თუ ყველა გვირაბი პასუხობს პროფესორ მ. პროტოდიაკონოვის კვალიფიკაციას, მე არავითარი პრეტენზია არ მაქვს, ხოლო რაც შეეხება თქვენს საპროექტო ნახაზს, ის ალბათ სქემატურ მასალას წარმოადგენს.

**მე რომ შემძლებოდა (ასაკოვანი, 92 წლის კაცი ვარ), ერთ-ერთი პირველი გავჩნდებოდი რაჭაში, ამიტომ ჩემი მოსაზრება მეორე დღესვე მოვახსენე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს როინ მეტრეველს.**

ბოლოს მინდა გამოვთქვა იმედი, რომ მომავალში რაჭის მსგავსი კატაკლიზმები აღარ გამეორდება და რომ ჩვენ, როგორც მეცნიერ-გეოლოგები, საინჟინრო გეოლოგიისა და შესაბამისი ბუნების დაცვის სააგენტოების სპეციალისტები, საამოსოდ ყველა ზომებს მივიღებთ.

**გიორგი მაღალაშვილი,**

**საქართველოს ტქენიკური უნივერსიტეტის ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი, „მეცნიერებისა და ხელოვნების რაინდის" საპატიო წოდების მფლობელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.**



◉ ტატამზე

# ოქროს სტარტი



**ჰააგაში (ნიდერლანდები) დაწყებული ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის პირველი დღე წარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის – თენგო ზირაქაშვილმა ოქროს მედალი მოიხვეჭა.**

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მომავალმა ჩემპიონმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე დაამარცხა ჩეხი, იტალიელი, ფრანგი და პორტუგალიელი მეტოქეები, გადამწყვეტ შეხვედრაში კი აზერბაიჯანელ აიდინ რზაევთან წმინდა გამარჯვება მოიპოვა და საქართველოს ჰიმნიც ააჟღერა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჰააგას ვაჟთა 9-კაციანი გუნდით ეწვია, გოგონათა ნაკრებს კი ხუთი წარმომადგენელი ჰყავს.

◉ ყინულზე

# საბრძოლო ნათლობა




**იუნიორთა შორის ფიგურისტთა გრან პრის მესამე ეტაპზე გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი სპორტულ წყვილებს შორის. თავისუფალ პროგრამაში, ისევე როგორც მოკლე პროგრამაში, წარმატებით იასპარეზა ანასტასია მეტელკინა-ლუკა ბერულავას სპორტულმა წყვილმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და, შესაბამისად, ორი პროგრამის ჯამში 181,37 ქულით მესამე ეტაპის გამარჯვებული და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.**

სადებიუტო გამოსვლა ახლადშექმნილი წყვილისათვის იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ სპორტული წყვილების სეგმენტში ამ ტურნირის უკონკურენტო წყვილი გახდა და პროგრამის ტექნიკური ელემენტების შემადგენლობით მათი გამოსვლა უფროსი ასაკის ნებისმიერ ტურნირს დაამშვენებდა. ლუკა და ანასტასია ორი კვირის შემდეგ უნგრეთში მომდევნო ეტაპზე ისრიალებენ და გრან პრის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას ეცდებიან.

◉ დარია თუ ავდარია...

# რაღაც დალპა ამ გუნდში!

**გუნდის სათამაშო ტაქტიკასა და სასტარტო შემადგენლობას მწვრთნელი არჩევს, მაგრამ როგორი ამინდი იქნება შეხვედრის დროს, ყველა უძლურია – როგორც მოგეხსენებათ, ბუნება მბრძანებელია და კლიმატურ პირობებს მხოლოდ უზენაესი განსაზღვრავს.**

უკანასკნელ ხანს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს სავალალო ტრადიცია დასჩემდა – თითქოს მეტოქეთათვის იდეალური პირობები იყოს, უარყოფით შედეგებს, განსაკუთრებით – პირწმინდად წაგებულ პირველ ტაიმებს, წვიმას აბრალებს. ამიტომ, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, ჯვაროსანთა სტაფში ადგილი სინოპტიკოსისთვისაც გამოიძებნოს და, პარალელურად, უეფასაც მივმართოთ თხოვნით, ტურნირების კალენდარში ცვლილებები შეიტანოს და მორიგი ბრძოლები ჩვენთვის მისაღებ დარში დანიშნოს.

მიხვდით, ალბათ, ასეთი სიმწარეგარეული შესავალი ნახევრად იუმორითაა ნაკარნახევი, მაგრამ მეტი პრობლემა რომ არ გვქონდეს, რაღა გვიჭირს. ამჯერად **ვილი სანიოლის** შერჩეულ სქემაზე შევჩერდეთ, რომელმაც ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე ევრო – 2024-ის შესარჩევ მატჩში დამოუკიდებლობის პერიოდის ანტირეკორდები დაგვამყარებინა – პირველად დავმარცხდით 6 ბურთის სხვაობით და ასევე პირველად გავუშვით ერთბაშად 7 გოლი, თანაც უკანასკნელი – 16 წლის დებიუტანტი მოზარდისაგან(!). ვინც თანამემამულეთა საცოდაობით არ დატანჯულა, ანტიგმირთა გალერეასაც გავაცნობთ:

### საქართველო – ესპანეთი 1:7

**პირველი ტაიმი 0:4**

**საქართველო:** მამარდაშვილი, გოჩოლეიშვილი, კაშია, კვირკველია, აზაროვი, კიტეიშვილი, აბურჯანია, გაგნიძე, ლობჟანიძე, მიქაუტაძე, კვარაცხელია. ითამაშეს აგრეთვე მექვაბიშვილმა, დავითაშვილმა, ჩაკვეტაძემ, დვალმა და საზონოვმა.

აქვე მადლიერებაც უნდა გამოვთქვათ სველი გაზონისადმი, თორემ, უდიდესი ალბათობით, ლუის დე ლა ფუენტეს ანსამბლის მეკარე უნაი სიმონი იოლად მოიგერიებდა ჩაკვეტაძის სუსტ ცაციას. ასევე გვერდით დაგვიდგა ვარის ვიდეოგამეორების სისტემა, რომელმაც შესვენებამდე სტუმრებს კიდევ ერთი ზუსტი დარტყმა გაუუქმა და გერმანელ მსაჯს ზიბერტს კვირკველიას სავარაუდო სახელბურთო ილეთის გამოყენების გამო პენალტი არ დაანიშვნინა. ახლა კი წერილის დასაწყისში დასახელებულ მეორე ნიუანსზე:



მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში ფრანგი სპეციალისტი შეგირდებს 3 მცველით ათამაშებდა, რაც ავტომატურად შედარებით მობილურ შუახაზს ნიშნავს, მაგრამ ამჯერად რატომღაც ძველ – ოთხმცველიან ვარიანტს დაუბრუნდა და, მართალია აქტიურ ფლანგელებს მიანიჭა უპირატესობა, მაგრამ, სამაგიეროდ საკვანძო საყრდენ ნახევარმცველზე მოუწია უარის თქმა, ეს კი თვითმკვლელობის ტოლფასი აღმოჩნდა – მრისხანე პირენეელები ბურთსაც ჩვეული სინარნარით ფლობდნენ და ფლანგებიდანაც ატერორებდნენ დაზღვევის გარეშე დარჩენილ მასპინძელ კოლეგებს.

რადგან კადრები წყვეტენ ყველაფერს, აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ნაკრებიდან ჯაბა კანკავას წასვლით შექმნილი ვაკუუმი ჯერაც ვერ ამოვავსეთ, იდეაში მის შემცვლელთაგან გამორჩეულს – ალთუნაშვილს კი შანსი არც იმ შავ პარასკევს მიეცა. ასევე საგანგაშოდ გამოიყურება დაცვის გადაბერებული ცენტრი, სადაც ტრავმირებული ხოჭოლავას არყოფნას საბედისწეროდ დაემატა კვირკველიას მიერ კალაძის ყბადაღებული მიღწევის გამეორება და ერთბაშად ორი ავტოგოლის გატანა, თუმცა ოფიციალური ვერსიით მეორე მათგანი ჰეთ-თრიქის ავტორს მორატას ჩაეთვალა. აქვე ვეკითხებით სამწვრთნელო შტაბს – რას უწუნებენ, მაგალითად, ლოჩოშვილს?

მოკლედ, ტრაგიკული რაჭული აგვისტოს შემდეგ სექტემბერიც ბუნებრივ – საფეხბურთო კატასტროფით დავიწყეთ, ხვალ კი არანაკლებ ავისმომასწავებელ საშემოდგომო გამოცდას ოსლოში სურეპმოტივირებულ ნორვეგიასთან ჩავაბარებთ.

### კვიპროსი – შოტლანდია 0:3.

**სატურნირო მდგომარეობა:** შოტლანდია – 15, ესპანეთი – 6, ნორვეგია, საქართველო – 4-4, კვიპროსი – 0 ქულა. ხვალვე ესპანეთი თემურ ქეცბაიას კუნძულელებს დაუხვდება.

◉ მუნდიალი – 2023

# ევროპის სახელით!

**ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ აზიური საკალათბურთო მუნდიალი ევროპული ფინალით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ – სერბეთმაც და გერმანიამაც ღირსეულად გაიკაფეს ბილიკი სატიტულო ბრძოლისკენ, თანაც ამ უკანასკნელმა – წაუგებლად.**

ჯერ მიზანს ბალკანელებმა მიაღწიეს, რომლებმაც ისტორიულად არაფრით გამორჩეულ კანადასთან, რომელსაც ამჯერად ნბა-ს არაერთი სოლისტი ამშვენებდა, შეხვედრის დებიუტშივე მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე უპრობლემოდ შეინაირჩუნეს და ბოგდანოვიჩის, დობრიჩის, მილუტინოვისა და გუდურიჩის ძალისხმევით ოცნებას ხორცი შეასხეს – 95:86.

ალბათ, ბევრი ფიქრობს, სვეტისლავ პეშიჩის განკარგულებაში ნიკოლა იოკიჩიც რომ იყოს, მეტოქეებს რა ეშველებოდათ, მაგრამ ყველანი უკვე მერამდენედ ვრწმუნდებით, რომ იუგოსლავური საკალათბურთო სკოლა დღემდე ტალანტთა ნამდვილ ბეღლად რჩება. რაც შეეხება აშშ-გერმანიის ტრილერს, მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ფინალი ნახევარფინალში, რომლის ბედიც უკანასკნელ წამებზე გადაწყდა – 113:111.




მიუხედავად საბოლოო შედეგისა, ახლავე უდავოა, რომ გორდონ ჰერბერტმა შრიოდერის, ძმები ვაგნერების, ტეისის, ობსტისა და ვოიოგტმანისგან გენიალური გუნდი შეკრა.

◉ ოვალური ბურთი




# ფრანგული კანკანი

**200 წლის წინათ ინგლისელმა უილიამ უებ ელისმა სპორტულ სამყაროს რაგბი აჩუქა, ასევე საიუბილეო – მეათე, მისივე სახელობის მსოფლიოს თასისათვის მებრძოლნი კი, მათ შორის ზედიზედ მეექვსედ – ქართველი ბორჯღალოსნები – საფრანგეთში შეიკრიბნენ.**

პლანეტარული ფორუმი აქამდე 3-3-ჯერ ახალმა ზელანდიამ და სამხრეთ აფრიკამ მოიგეს, თანაც ამ უკანასკნელმა ყველა ფინალში გაიმარჯვა, მასპინძლებს კი, პირიქით, სამივე სატიტულო ჯახი აქვთ წაგებული, ამიტომ სავსებით ლოგიკურია მათი ამჟამინდელი მიზანი – ნავსი გატეხონ და გვირგვინოსანთა მარაქაში გაერიონ. სამფეროვანთა ამბიციების საფუძვლიანობა სენ-დენიში მოწყობილი გახსნის პომპეზური ცერემონიალის შემდეგ გამართულმა საპრემიერო წარმოდგენამ დაადასტურა, რომელიც რამდენიმე ტრავმირებული ლიდერის, მათ შორის ნტამაკის არყოფნის მიუხედავად, ოლ ბლექსის შესვენების შემდეგ დაჯაბნით დაასრულეს – 27:13 (პირველი ტაიმი – 9:8).

ეს, ასე ვთქვათ, უვერტურა იყო, უახლოესი თვენახევრის განმავლობაში კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი დაუვიწყარ სარაგბო ზეიმს მთელი ბრწყინვალებით შემოგვთავაზებს.

## სალომე ზურაბიშვილი:
# მძიმე დღეები გვიდგას!..



მძიმე დღე და ღამე დაგვიდგა: გურიაში სტიქიის ზონაში დაღუპული ბავშვები და კიდევ ერთი სიტყვის მიღმა დარჩენილი ტრაგედია!

სამძიმარს ვუცხადებ ოჯახებს, ახლობლებს და ჩვენს საზოგადოებას. არქივში გაჩენილი ხანძარი სხვა კუთხით მტკივნეულ იარებს აღვივებს, წარსულისა და მეხსიერების დაკარგვის შიშს აჩენს ჩვენში, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

ამ დროს კი, როცა გვჭირდება ყველაზე მეტად დაფიქრება იმაზე, თუ რამდენად ეს ტრაგიკული მოვლენები შემთხვევითობას მიეკუთვნება, თუ პირიქით, ეს ყველაფერი ჩვენი საქციელის, მოუმზადებლობის, ქვეყნისა და ადამიანების მიმართ გულგრილობის შედეგია... ვაგრძელებთ ძველებურად – ბოღმა, სიძულვილი, ერთმანეთის გაუტანლობა...



## უხვმა ნალექმა ზუგდიდშიც პრობლემები შექმნა...

უხვმა ნალექმა ზუგდიდში პრობლემები შექმნა. დაიტბორა ეზოები და გზის სავალი ნაწილები.

განსაკუთრებით, მძიმე ვითარებაა მესხიას, გამსახურდიას, ქუთაისის და თავისუფლების ქუჩებზე. რამდენიმე ქუჩაზე სანიაღვრე სისტემამ წყალი ვერ გაატარა, შედეგად დაიტბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, დაზიანდა ავეჯი, საოჯახო ტექნიკა და ნივთები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქალაქის რამდენიმე უბანში ვითარებას ეცნობიან. მიმდინარეობს სახლების პირველი სართულებიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოები.

## ლანჩხუთის სოფელ სუფსაში სტიქიისგან მიყენებულ ზარალს ითვლიან

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში სტიქიისაგან მიყენებულ ზარალს ითვლიან, რომელსაც სპეციალურად შექმნილი ზარალის დამთვლელი კომისია დაადგენს.

თითქმის ყველა სახლსა თუ ეზოში გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. ელექტროენერგია და წყალი არ მიეწოდება სოფლის ნაწილს. როგორც ლანჩხუთის საკრებულოს წევრი ია მოქია აცხადებს, სუფსაში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა სალიკვიდაციო სამუშაოები. მისივე თქმით, ამ დროისთვის იწმინდება მეწყრული პროცესების შედეგად დაზიანებული გზები.

## რუსთავში ძლიერი წვიმის გამო გზები დაიტბორა

რუსთავში ძლიერი წვიმის გამო ქალაქის მარჯვენა სანაპიროზე გზები დაიტბორა. წყალი შევიდა ცენტრალური ქუჩის საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებსა და კომერციულ ობიექტებში, პარალიზებული იყო მოძრაობა.

ადგილზე იმყოფებოდნენ სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. მერიის შესაბამისი სამსახურები ზარალს ითვლიან. როგორც მერიაში აცხადებენ საჭიროების შემთხვევაში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი მოსახლეობას აუნაზღაურდება. ადგილზე ვითარებას რუსთავის მერი და ადგილობრივი ხელისუფლება გაეცნო.



## განზრახ მკვლელობისა და ხულიგნობისთვის ბრალდებულს
# 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

**ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის და ხულიგნობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 17 დეკემბერს, ბრალდებულმა სხვა პირებთან ერთად ხონში, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სცემა ორ პირს. მოგვიანებით ბრალდებულს ერთ-ერთ დაზარალებულთან მორიგი ფიზიკური დაპირისპირება მოუხდა, რა დროსაც დანით ჭრილობები მიაყენა. მიღებული დაზიანებების გამო, დაზარალებული შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ხულიგნობის ფაქტზე სასამართლომ 6 პირი დამნაშავედ ცნო, რომლებსაც 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი.



მეუღლე ეთერ მიქაშავიძე, შვილები ნუნუკა და თემურ ჩუბინიძეები, სიძე ავთანდილ კუჭავა, რძალი ნათელა ხუჯაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, უახლოესი ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ამირან ამბაკოს ძე ჩუბინიძე

პანაშვიდი 11 სექტემბერს, 17 სთ, გამრეკელის 1 კორპუსი, II სადარბაზო, V სართული, ბინა 40 (ცინცაძის ქუჩის კვეთა)

გამოსვენება 12 სექტემბერს, 14 სთ, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

---

სპარტაკ, მანანა, ლაშა, რუსუდან ქობულიები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ოჯახის ღირსეული თავკაცი, სამაგალითო მეუღლე, მამა და ბაბუა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, უმწიკვლო პატიოსნებით გამორჩეული მამულიშვილი, კოლორიტული პიროვნება

## ამირან ჩუბინიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს და სრულიად სანათესაოს.



თბილისში მცხოვრები „ფოთელების საზოგადოების“ სახელით მეგობრები: **სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, ჯემალ კახიანი, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, გია სვანიძე, გულთაზ ლაბარტყავა, ლია წურწუმია, ჯემალ კვირტია, ბესლან ქორქია, პეტრე ბერაია, ვახტანგ ჩიქოვანი, თენგიზ უჩანეიშვილი**

გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ომარ კაჭარავას და მის ოჯახს, მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის, დიდი ოჯახის ბურჯის, პურპროდუქტების დარგის გამორჩეული პროფესიონალის

## ნანა ქორდანიას

გარდაცვალების გამო.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული ზეციურ საქართველოში.

# სახელმწიფო მედიკამენტ „ვოსორიტიდის“ დანერგვას იწყებს



**აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლები მედიკამენტ „ვოსორიტიდით“ მკურნალობის პროგრამას და მასში ჩასართავად საჭირო პროცედურებს გაეცნენ. მშობლებმა ხელი მოაწერეს ინფორმირებულ თანხმობას, რაც მკურნალობის პროგრამაში ჩასართავად, აუცილებელი წინაპირობაა.**

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტ „ვოსორიტიდის“ დანერგვას, ქვეყანაში, ეტაპობრივად, იწყებს.

2023 წელს, მკურნალობის პროგრამაში, საწყის ეტაპზე, 6 პაციენტი ჩაერთვება. მათ შორის არიან ბენეფიციარები, ვისაც ზრდის ზონები, ასაკის გამო, ყველაზე ადრე ეხურებათ. ასევე – მძიმე კლინიკური გამოვლინებების მქონე პაციენტები, რომლებიც მკურნალობას მულტიდისციპლინური ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყებენ.

მკურნალობის პროგრამა მრავალპროფილურ, პედიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებაში განხორციელდება. პროცესს კლინიცისტების მულტიდისციპლინური გუნდი წარმართავს.



## ხოხბისხელა დინოზავრი

**მეცნიერებმა ჩინეთში ფრინველის ნეშტი აღმოაჩინეს, რომელიც გრძელი ფეხებითა და მოყვანილობით დინოზავრს ძალიან ჰგავს.**

სავარაუდოდ, ფრინველი იურულ პერიოდში, 148-150 მილიონი წლის წინ ფუჟიანის პროვინციაში, სამხრეთ ჩინეთში ბინადრობდა. ფრინველს ფუჟიანვენატორ პროდიგიოსუსი დაარქვეს, რაც ლათინურად „ფუჟიანიელ უცნაურ მტაცებელს“ ნიშნავს.

ცხოველს მენჯებზე ორჯერ გრძელი ფეხები ჰქონდა, სწორედ ისე, როგორც დინოზავრებს. მისი წონა დაახლოებით 641 გრამს შეადგენდა და ხოხბის ზომის იქნებოდა.



## მიხაილო პოდოლიაკი: რომის პაპს პრორუსული პოზიცია აქვს...

**„ეს არის წმინდა საყდრის რეპუტაციის განულება. აზრი არ აქვს საუბარს რომის პაპზე, როგორც შუამავალზე, თუ მას აშკარად პრორუსული პოზიცია აქვს. ეს პირველად არ მომხდარა, თუმცა ჩვენ ისე ვიქცეოდით, თითქოს ამას ვერ ვამჩნევდით, მაგრამ ახლა ნათელია, რომ ეს ადამიანი პრორუსულ პოზიციას იკავებს. შესაბამისად, ეს ნეგატიურად აისახება ომზე“,** – აცხადებს პოდოლიაკი.

25 აგვისტოს, რომის პაპმა სანქტ-პეტერბურგში კათოლიკე ახალგაზრდობის დღის მონაწილეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: **„არასოდეს დაივიწყოთ მემკვიდრეობა. თქვენ ხართ დიდი რუსეთის შთამომავლები – წმინდანთა დიდი რუსეთი, პეტრე პირველის, ეკატერინე მეორეს დიდი რუსეთი, იმ იმპერიის, რომელიც იყო დიდი, განათლებული, დიდი კულტურის მქონე. არასოდეს თქვათ უარი ამ მემკვიდრეობაზე. თქვენ ხართ დიდი დედა რუსეთის შთამომავლები“.**



## ძაღლების სერფინგი

**აშშ-ში, კალიფორნიაში, სან-ფრანცისკოსთან ძაღლებს შორის სერფინგში ყოველწლიური შეჯიბრი ჩატარდა.**

ტრადიციულად, ოთხფეხა სერფერები ერთმანეთს სხვადასხვა კატეგორიაში შეეჯიბრნენ, მათი ზომისა და მოასპარეზეთა რაოდენობის მიხედვით. ჩემპიონატში ათობით ძაღლმა მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა 20 გამარჯვებული 7 კატეგორიაში.

## მედვედევის ვაჟის თაღლითობანი



**რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დმიტრი მედვედევის შვილი ილია მედვედევი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკრაინის მოქალაქეების უკანონო „პასპორტიზაციაში“ იყო ჩართული.** კერძოდ, მან ზედამხედველობა გაუწია პორტალის შექმნას, რომლის მეშვეობითაც უკრაინელები რუსულ პასპორტებს იღებენ.

**„ილია მედვედევმა კოორდინაცია გაუწია რუსეთის ფედერაციის „ახალი შემადგენელი“ ერთეულების მცხოვრებლებისთვის პორტალი „მე ვარ რუსეთში“ შექმნის პროექტის განხორციელებას, რომელიც ინიცირებული იყო „ერთიანი რუსეთის“ გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებით“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ციდან ჩამოვარდნილი თევზი და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილები



**აშშ-ში, ნიუ-ჯერსიში ელექტროენერგია ციდან ტრანსფორმატორზე დაცემული თევზის გამო გაითიშა. ინციდენტის გამო ელექტროენერგიის გარეშე 2 100 ადამიანი დარჩა.** ენერგოკომპანიის წარმომადგენლის, კრის ჰენიგის განმარტებით, თევზი პირიდან გაუვარდა შაკს, რომელმაც ტრანსფორმატორს გადაუფრინა. მომხდარზე განცხადება გაკეთდა ადგილობრივ პოლიციაშიც, სადაც თევზს გილიგანი დაარქვეს და მსხვერპლად მოიხსენიეს.

**„გთხოვთ, ნუ დავივიწყებთ მსხვერპლს, რომელიც ასე უაზროდ დაიღუპა. გილიგანი შრომისმოყვარე, ოჯახის კაცი იყო, ათასი შვილის მამა“,** – ამბობენ სამართალდამცველები და მომხდარზე პასუხისმგებლობას შაკს აკისრებენ. მათი თქმით, როდესაც „ეჭვმიტანილი“ ბოლოს ნახეს ის „სამხრეთისკენ მიემართებოდა“. ენერგეტიკულ კომპანიაში კი შაკს სოლიდარობას უცხადებენ.

## გამანადგურებელი მიწისძვრა მაროკოში



მაროკოში 6.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად, დაღუპულთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. დაშავებულია 900-მდე ადამიანი. სტიქიის ეპიცენტრი მარაკეშიდან სამხრეთ-დასავლეთით ატლასის მთებში, 71 კმ-ის სიღრმეში დაფიქსირდა.

19 წუთის შემდეგ კი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები განმეორდა. სტიქიამ ყველაზე მეტად მარაკეში დააზიანა, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია.



## მსოფლიო რეკორდსმენი კატა

**13 წლის კატამ აშშ-ის შტატ მისურიდან ლახტით ხტუნვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.**

კიტკატი ერთ წუთში ლახტს ცხრაჯერ გადაახტა. კატა თავის პატრონთან, ტრიშა სეიფრიდთან ერთად ხტუნაობს, რომელსაც შინაური ცხოველების ტალანტის სააგენტო აქვს. მისი თქმით, კიტკატს კნუტობიდან უყვარდა პუბლიკის წინაშე გამოსვლა.

**„ლახტით ხტუნვა მისი ყველაზე შთამბეჭდავი ტრიუკია, თუმცა ასაკის გამო ხტუნვა მინიმუმამდე გვაქვს დაყვანილი“,** – ამბობს სეიფრიდი. კიტკატი სხვადასხვა რეკლამებსა და პროგრამებშია გადაღებული.

## ჰონგ კონგი დაიტბორა

**ჰონგ კონგში 140 წლის განმავლობაში მოსულმა ყველაზე ძლიერმა წვიმამ ქალაქი დატბორა. წყალდიდობამ დააზიანა ქუჩები, სავაჭრო ცენტრები. ხელისუფლებამ სკოლები დახურა და მოქალაქეებს სახლში დარჩენისკენ მოუწოდა.**



ძლიერმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია ჩინეთის სამხრეთ რაიონებშიც. გუანდუნის პროვინციის დასახლებული პუნქტებიდან 10 000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 სექტემბერს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6251; ევრო - 2.8083;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2738;
100 რუბლი - 2.6833; თურქული ლირა - 0.0978;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5442;
1000 სომხური დრამი - 6.8008

**ამინდი 11 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +20 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge